პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომპარტიის [illegible]
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნორაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—30 კ., ყურბა ცოცხლებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 8—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 25 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 220 (1375)

დღიური

— ნეაპოლში (იტალია) ემზადებიან საბჭოთა ნალმოსნების საზეიმო შეხვედრისათვის.
— ავსტრიაში გაიფიცნენ [illegible].
— დორიო ჩავიდა მაროკოში.
— ბომბეიში (ინდოეთი) [illegible] რიცხვი 130.000 აღწევს.
— ავსტრიაში ელიან მთავრობის გადადგომას.

„კომუნისტი“
მიიღებს ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა.—რუსთ. პრ. № 24. მეორე სართული.

საქონელი სოფელს

უკვე თავიდანვე სჩანდა, რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების წარმოება ვერ მიჰყვება ფეხდაფეხ სოფლის მეურნეობის აღორძინებას. სოფელი წინ უსწრებდა ქალაქს ომისა და რევოლიუციისაგან მიყენებულ ჭრილობების მოშუშებაში.

ცნობილი მაკრატლის პრობლემა ამ ნიადაგზე წარმოიშვა. ეს პრობლემა დღესაც არაა სავსებით დაძლეული. სოფლის მრეწველობის საგნებით დაკმაყოფილება, ბაზრის ფართე მოთხოვნილების ფაბრიკატებით ავსება დღესაც საჭირბოროტო კითხვად სდგას ჩვენი სამეურნეო ორგანოების წინაშე.

ეს ნაკლი მეტად საგრძნობი და მავნებელი ხდება ჩვენთვის სწორეთ ეხლა, შემოდგომის და მის მიმდევარ პირველ თვეებში, როცა სოფელი განსაკუთრებული სიუხვით ისვრის ბაზარზე საკუთარ ნაწარმოებს, როცა გლეხის სყიდვითი უნარი ერთი ათად იზრდება ჩვეულებრივთან შედარებით.

ამავე დროს ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო დუქნების თაროები სანახევროთ ცარიელია მრეწველობის ფართე მოთხოვნილების საგნებისაგან.

განსაკუთრებით დამშეულია ბაზალითონის, ქსოვილების და ტყავეულობის ნაწარმოებებზე.

როცა სოფლის კორესპონდენტები ჩვენს კოოპერატივებს უსაყვედურებენ, რომ ისინი ფუფუნების საგნებით უფრო ვაჭრობენ, ვიდრე პირველ საჭიროების საქონელით, ამაში ზოგჯერ ნაკლები ბრალი მიუძღვის თვით კოოპერაციას. ეს უფრო საერთო უქონლობის, მრეწველობის მასიურ მოთხოვნილების საგნების სიღარიბით აიხსნება.

შეიძლება თუ არა, რომ ეს უქონლობა მარტო იმას მივაწეროთ, რომ ჩვენი მრეწველობა ვერ სწვდება პროდუქციის დამუშავებით ბაზრის სიფართოვეს?

თქმა არ უნდა, ამ მთავარ მიზეზს გარდა, არის მთელი რიგი სხვა დაბრკოლებებისა, რომელნიც კიდევ უფრო ამწვავებენ საქონლის ნაკლებობით გამოწვეულ ბაზრის მძიმე მდგომარეობას.

ესაა პირველ ყოვლისა უსისტემობა უკვე არსებულ პროდუქციის განაწილების საქმეში. გარდა იმისა, რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მთელი ნაწარმოები თითქმის უკლებლივ შინაურ ბაზარს ხმარდება, ჩვენ საკმაოთ ფართედ ვსარგებლობთ შემოტანილ საქონლითაც.

ასე რომ დიდი საყვედური საქონლის უქონლობაზე არ გვეთქმის; მით უფრო არ შეიძლება მთელი ცოდვების ამ უქონლობის ხარჯზე მიწერა. ცხადია, ბევრ შემთხვევაში ჩვენს განმანაწილებელ ცენტრებს აკლიათ გეგმაშეზომილი მუშაობა. უდავოა, რომ ჩვენ მიზანშეწონილად ვერ ვსარგებლობთ იმ მარაგით, რომელიც უკვე ხელთა გვაქვს.

მეორე მხრივ საქმეს აგრეთვე ნაწილობრივათ აბრკოლებს ჩვენი სავაჭრო ორგანოების უმოძრაობა, რომელიც ზოგჯერ ბიუროკრატიზმამდეც მიდის.

სააქციზო ოპერაციებში უცხოეთის საქონელს ხშირათ თვეობით აგვიანდება. ესეც, რასაკვირველია, თავის უარყოფით გავლენას ახდენს ბაზრის დროულად საჭირო საგნებათ დაკმაყოფილებაზე.

გარდა ამისა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქონლით ბაზრის შეუფერხებლათ საზრდოობისათვის როგორც მძიმე, ისე მსუბუქ ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. ჩვენი გადასაზიდი საშუალებანი კი ვერ აკმაყოფილებენ მწარმოებლის და მომხმარებლის დღევანდელ მოთხოვნილებას.

ამ მდგომარეობით ყველაზე უფრო სარგებლობს კერძო კაპიტალი, რომელიც ხშირად უფრო მეტ მიხვრა-მოხვრას და მოქნილობას იჩენს, ვიდრე ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანოები.

იქ, სადაც სუსტია კოოპერაციის ქსელი, სადაც ვერ სწვდება სახელმწიფო ვაჭრის ადლი და სასწორი, კერძო კაპიტალის სპეკულიაცია ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა დღეს. თქმა არ უნდა, ეს წინ ეღობება ქალაქის და სოფლის ნორმალურ სამეურნეო თანამშრომლობას და ძირს უთხრის ჩვენს, ეგრედ წოდებულ ფასების პოლიტიკას.

სოფლის მოთხოვნილების მრეწველობის საგნებით დაკმაყოფილება დღეს ღებულობს ჩვენთვის უაღრეს ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის ხასიათს.

თუ ჩვენ ვერ შევსძელით საბჭოთა მრეწველობის ძირითად ბაზრის, გლეხობის საქონელზე სიმშილობის რამდენადმე მაინც დაძლევა, ეს გვიქადის სოფლის მეურნეობის საერთო დაქვეითებით და აქედან უკვე ქალაქის წარმოების შეფერხებით.

ამიტომ მთელი საბჭოთა სამეურნეო ფრონტი და მისი ცოცხალი ძალები უნდა დაირაზმონ ამ ამოცანის დასაძლევათ.

პირველ ხანებში დასაშვებიც იქნება, რომ ქალაქის ხარჯზე შევავსოთ სოფლის ბაზრის დანაკლისი. რაც შეიძლება მეტი გეგმიანობა და მიზანშეფარდებულობა უნდა იქნეს შეტანილი საქონლის განაწილების საქმეში. საჭიროა გაძლიერდეს და გამარტივდეს საიმპორტო საქონლის მომხმარებლისათვის მიწოდება. და უკანასკნელათ, რაც შეიძლება უახლოესი გზით უნდა გაიგზავნოს საქონელი ქარხნიდან მყიდველისაკენ.

აქ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე თვით ადგილობრივ, წვრილ სავაჭრო კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებსაც. ისინი არ უნდა იყვნენ იმის მოლოდინში, სანამ ზევიდან ვინმე რასმე მიაწვდის. საჭიროა ბაზრის ფხიზელი ყურისდევნება, საჭიროა სოფლის მოთხოვნილების შესწავლა და ცენტრთან მჭიდრო კავშირის დაჭერა.

ამნაირათ საერთო ძალღონით, ცენტრისა და ადგილობრივ მუშაკების დახმარებით, ყველა სამეურნეო ორგანოების ამოძრავებით შევძლებთ ჩვენ საქონლის ნაკლებობის შემსუბუქებას, ბაზრის სიმშილობის დაძლევას.

პროფკავშირთა ძირითად ორგანოების მომავალ არჩევნებისათვის

ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოს პროფკავშირები შეუდგებიან ძირითად პროფუჯრედების საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ხელახალ არჩევნებს.

როგორ უნდა მიუდგენ ხელმძღვანელი პროფორგანოები ამ არჩევნებს.

ჩვენი მრეწველობის აღდგენა და მეურნეობის საერთო ზრდა აბამს წარმოებაში ახალ ძალებს—მუშების ახალ კადრებს. ეს გარემოება მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას კავშირების მასებისადმი და პროფესიონალურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 8 წლის და საქართველოს პროფკავშირების მუშაობის 5 წლის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში საგრძნობლად ამაღლდა საბჭოთა კავშირის მუშათა მასების კულტურული დონე და შეგნება. პროფკავშირების დაუღალავმა მუშაობამ ამ წლების განმავლობაში გააძლიერა კავშირების წევრების აქტივობა.

ეს გარემოება პროფკავშირების წინაშე სვამს ამოცანას—გადასინჯულ იქნეს ქვედა პროფუჯრედების მუშაობის მეთოდები, არჩეულ პროფორგანოების მოწყობის მეთოდები და მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული პროფკავშირთა მასების გაძლიერებული თვითმოქმედება.

რა უნდა ახსოვდეთ პროფკავშირებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების ხელახალი არჩევნების ჩატარების დროს.

ჩვენ ძველ პრაქტიკიდან გვახსოვს, რომ ხშირად არ ყოფილა მიღებული ზომები იმისათვის, რომ ამა თუ იმ კავშირის მუშაკთათვის თავის დროზე გაეგზავნათ ცნობები საკავშირო ორგანოების მომავალი არჩევნების შესახებ, რის გამო საერთო კრებები არ იყო ხშირად სრული. დღის წესრიგს ავსებდნენ აუარებელი საკითხებით, მოხსენებები ჭიანურდებოდა დიდი ხნით, საქმიანი კრიტიკა მოიკოჭლებდა, ადგილკომის საანგარიშო მოხსენების გამო არ იმართებოდა კამათი ან გამოდიოდა ერთი ან ორი კაცი; ამ მოხსენებებს უმეტეს შემთხვევაში ღებულობდენ ცნობად, არ გამოჰქონდათ დასაბუთებული რეზოლიუციები, რომლებშიაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო მუშაობის ნაკლულევანებანი და დასახული მუშაობის ახალი ხაზი და პროგრამა.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების წევრების არჩევნებში მასები არ ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას. თითქმის ყოველგან არჩევნებში მიღებული იყო სიების სისტემა, რაც შეუძლებელს ხდიდა თვითეული კანდიდატურის პერსონალურად განხილვას, კანდიდატის დადებით და უარყოფით მხარეების გამომჟღავნებას. ამის შედეგად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ფაქტები კავშირის თანხების გაფლანგვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების და მოვალეობისადმი არასინდისიერად მოპყრობის. ეს გავლენას ახდენდა წევრების დამოკიდებულებაზე თავის არჩეულ ორგანოსადმი.

ამიტომ მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენი პროფმუშაობის აღნიშნული ნაკლულევანებანი გათვალისწინებული და აღმოფხვრილი უნდა იქნენ.

პირველ ყოვლისა, ამა თუ იმ კავშირის მუშა-მოსამსახურეებს თავის დროზე უნდა ეცნობოთ დღე, დრო და ბინა, სადაც შესდგება მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრება მოწვეული უნდა იქნეს არასამუშაო დღეს, რომ კრებას დაესწროს წევრების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

ამას გარდა, დღის წესრიგში დასმული უნდა იქნენ დაახლოვებით ასეთი საკითხები: 1) საფაბრიკო-საქარხნო და ადგილკომების და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, ადგილკომების და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნები.

აღნიშნულ ორგანოების საანგარიშო მოხსენებები ისე უნდა იქნენ შედგენილი, რომ დროის მეტი ნაწილი გამოყენებული იქნეს მოხსენებების განხილვისა და მათი საქმიანი კრიტიკისათვის.

მოსმენილ მოხსენებების გამო მიღებული უნდა იქნეს დასაბუთებული რეზოლიუცია, შემუშავებული, თუ ეს საჭირო იქნება, სპეციალურად გამოყოფილ კომისიის მიერ, რომელშიაც აღნიშნული იქნება განვლილი მუშაობის ნაკლულევანებანი და დასახული იქნება მუშაობის ახალი ხაზი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს მომავალი მოქმედების მთავარ მომენტებს.

კრების ხელმძღვანელები ისე უნდა უძღვებოდენ კრებას, რომ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიაღებინონ დამსწრეების დიდ რაოდენობას.

შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი —ეს არის კანდიდატის წამოყენება.

გადაჭრით უარყოფილი უნდა იქნეს კანდიდატების სიებით წამოყენების სისტემა.

საერთო კრებას უნდა მიეცეს სრული საშუალება წამოაყენოს პერსონალურად კანდიდატები, განიხილოს თვითეული კანდიდატის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. თვითეულ კანდიდატს კენჭი უნდა ეყაროს ასე: ჯერ—ვინ არის მომხრე, შემდეგ—ვინ არის წინააღმდეგი. ასეთი კენჭის ყრის საშუალებით უნდა იქნენ არჩეული საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების, აგრეთვე სარევიზიო კომისიების ახალი შემადგენლობანი.

სასურველია, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარების წინ—კავშირებმა მოახდინონ ზოგიერთ ტიპიურ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილკომების გამოკვლევა, მასალების გამოსაყენებლად.

კრებებს არ უნდა ემჩნეოდეს სიჩქარე და დაშვებული იქნეს საერთო კრების გაგრძელება მეორე დღისათვის, თუ საკითხები ვერ ამოსწურა ერთმა კრებამ.

მომავალმა კამპანიამ უნდა გამოიყენოს მასების მთელი აქტივობა, გამოაცოცხლოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და ადგილკომები, შეავსოს ისინი ახალი ძალებით, რომლებსაც სწყურიათ პროფკავშირებში მუშაობა.

ნ. ატოევი.

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია იაპონიაში

დელეგაციას სადგურებში ესალმებოდენ აუარებელი მუშები

საზეიმო შეხვედრა ტოკიოში. მუშათა და გლეხთა კავშირების მისალმებები

ტოკიოში პოლიცია თავს დაესხა დელეგაციის შესახვედრათ შეკრებილ მუშებს

შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის. წითელი დროშები ტოკიოს ქუჩებზე

შეხვედრა

ტოკიო, 23 სექტემბერი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დელეგაცია ლეპსეს მეთაურობით ჩავიდა ტოკიოში.

შიმონოსეკში დელეგაციას მიესალმა ტოკიოს და ოსაკას პროფკავშირთა საბჭოს სპეციალური დელეგაცია, რომელმაც მიაცილა ის ტოკიომდე. გზაში დელეგაციას ხვდებოდენ სხვადასხვა მუშათა და გლეხთა კავშირების წარმომადგენლები, რომლებიც ესალმებოდენ დელეგაციას რევოლიუციონური სიმღერებით და ხმამაღლა გამოსთქვამდენ აღტაცებას საბჭოთა კავშირის პროლეტარიაცის მიღწევებით. ზოგიერთი ორატორები სთხოვდენ დელეგაციას რჩევა-დარიგებას. ყოველი შეჩერების დროს ხალხში ისმოდა ხმები: „ბანზაი“ საბჭოთა კავშირის და საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ.

ოსაკაში სადგური გაჭედილი იყო მუშებით და ქალაქის მცხოვრებლებით, რომლებიც, პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად გამოსულიყვნენ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დელეგაციის შესახვედრად.

კობეში მუშები რამდენიმე წუთის განმავლობაში მისდევდენ მატარებელს და იძახოდენ „ბანზაი“-ს საბჭოთა კავშირის მიმართ.

კობეს მუშა-ქალებმა ძალით გაარღვიეს პოლიციელების რკალი, რომ მისალმებოდენ საბჭოთა დელეგაციას. ხალხში მოსჩანდა სპეციალურად გაკეთებული საბჭოთა ვარსკვლავი, განათებული ელექტრონის სინათლით.

ხელჩართული ბრძოლა პოლიციასთან

პეკინი, 93 სექტ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოველივე ზომები მიიღო, რომ „უშიშარი გაეხადა“ საბჭოთა დელეგაციის ყოფნა იაპონიაში. დაპატიმრებულ იქნენ პროფკავშირთა მემარცხენე ფრთის ყველა ბელადები და ბევრი სხვა, თვით თარჯიმანი და საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი, რომლებიც თან ახლდენ დელეგაციას ტოკიოში.

პოლიციამ აუკრძალა მუშებს დელეგაციის შეხვედრა მისასალმებლად და სადგურზე გაატარა მუშების მხოლოდ 30 წარმომადგენელი. მიუხედავად ამისა, სადგურის ბაქანი გაჭედილი იყო ხალხით. სამთომადნო მუშების ფედერაციის ბელადმა კატომ იმ კომისიის სახელით, რომელიც გამოყოფილი იყო ტოკიოს პროფკავშირების მიერ დელეგაციის შესახვედრად, მიმართა უკანასკნელს მისასალმებელი სიტყვით, მაგრამ იქავე შეპყრობილ იქნა პოლიციის მიერ იაპონიის პროფკავშირთა დელეგაციასთან ერთად, რომელიც აცილებდა საბჭოთა დელეგაციას შიმონოსეკიდან. მათი დაპატიმრება მოხდა საბჭოთა დელეგაციის თვალწინ.

გაიმართა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა სადგურთან მოზღვავებულ მუშებსა და პოლიციის შორის. პოლიცია ხევდა წითელ დროშებს, სცემდა და აპატიმრებდა დემონსტრაციის მონაწილეებს.

მიუხედავად ამისა, დემონსტრაცია გრძელდებოდა და მუშების ჯგუფები ხვდებოდენ დელეგაციას რევოლიუციონური სიმღერებით. მხოლოდ ორი საათის შემდეგ პოლიციის რაზმებმა მოახერხეს სადგურის ახლო მდებარე ქუჩების განთავისუფლება. პოლიციამ მიიღო ყოველივე ზომები, რომ სავსებით განეცალკევებია საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დელეგაცია იაპონიის პროფკავშირთა ორგანიზაციებისაგან.

აქაურ საბჭოთა წრეებში განცვიფრებულნი არიან საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დელეგაციისადმი ასეთი მოპყრობით, საბჭოთა წრეებში აღნიშნავენ, რომ როცა აძლევდა ვიზას საბჭოთა დელეგაციას, იაპონიის მთავრობამ კარგად იცოდა დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი და ამიტომ პირდაპირ გაუგებარია, რატომ აპატიმრებენ იმ პირებს. რომლებიც ესალმებიან დელეგაციას.

ფაშისტური ტერორი

ცანკოვი ამზადებს ახალ მკვლელობებს

რუმინეთის მთავრობის დადგენილებით აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ უცხოეთში „სახელმწიფოს ღალატათ“ ითვლება

საფრან. მთავრობა პასუხისგებაში აძლევს მთელ რიგ გამოჩენილ კომუნისტებს

პარიზში დააპატიმრეს მუშათა დახმარების საერთაშ. კომიტეტის მდივანი კაპი

პოლიტიკურ პატიმართა სიმშილობა ლვოვის ციხეში

ცანკოვი მორიგ მკვლელობებს ამზადებს

ვენა, 23 სექტ. ვენაში მოვიდა მაკედონელ ავტონომისტების ბელადი — ღენერალი პროტოგეროვი, რომელსაც თან ახლავს ცნობილი მაკედონელი ტერორისტი—ბელევი.

პროტოგეროვის ჩამოსვლა დაკავშირებულია იმ თეთრგვარდიელების დატყვევებასთან, რომელნიც ამზადებდენ თავდასხმას სრულუფლებოვან წარმომადგენლობაზე ვენაში. მათი მიზანია არასასურველ ელემენტების ლიკვიდაცია.

ვენაში თეთრგვარდიელ ბოროდინის დატყვევების შემდეგ—პროტოგეროვი საჩქაროთ იქნა გაწვეული სოფიაში და მას მიანდვეს ბელევთან ერთად სრული რეორგანიზაცია მოახდინოს ტერორისტულ აპარატისა ვენაში, რადგან იგი დაიშალა ბოროდინის დატყვევების შემდეგ.

რუმინეთის „ახალი გეზი“ ნაციონალურ საკითხებში

ვენა, 23 სექტ. რუმინეთის მთავრობა ამზადებს კანონპროექტს, რომლის ძალითაც რუმინეთის ყველა ქვეშევრდომი, ვინც საზღვარგარეთ ეწევა საწინააღმდეგო კამპანიას, დასჯილ იქნება როგორც სახელმწიფო მოღალატე. ამით უნდა შესწყვიტონ ეროვნულ უმცირესობათა საჩივრები სხვადასხვა საერთაშორისო დაწესებულებებში და ორგანოებში. მთავრობის აზრით—უმცირესობამ ამის შემდეგ ერთა ლიგას კი არ უნდა მიმართოს საჩივრებით, არამედ ყველაფერი უნდა მოგვარდეს შინვითვე.

რუმინეთის ტერორი სამხრეთ ბესარაბიაში

ვენა, 23 სექტ. კიშინიოვში—სამხრეთ ბესარაბიის აჯანყებულთა პროცესთან დაკავშირებით გაზ. „ფაკლა“ დაწვრილებით აქვეყნებს იმ სისასტიკეთ, რომელთაც მიმართავდენ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. სოფ. ვილკოვში ჟანდარმების მიერ მოკლულ იქნა 107 გლეხი. სოფ. ნერუშში კომენდანტის ბრძანებით დასწვეს გლეხთა კოოპერატიული წისქვილი. ტატარბუნარის დამცველი აგენტები წარმოუდგენელ წამებას მიმართავდენ დაპატიმრებულ გლეხთა გამოსატეხათ.

ბრალდებულთა შორის იმყოფება მოლდაველი გლეხი ცანკუ, რომელსაც ჯალათებმა ყველა თითებზე დააძრეს ფრჩხილები. აჯანყებულ სოფლების მამასახლისები სულ ერთიან არბევდენ დაპატიმრებულ გლეხების ქონებას ან კიდევ რეკვიზიციას უშვრებოდენ მათ შინ არყოფნის დროს.

ბესარაბიელ ლტოლვილთა ევაკუაცია

ვენა, 23 სექტ. რუმინეთის მთავრობა შეუდგა ბესარაბიელ ლტოლვილთა მასიურ ევაკუაციას. ყველა ლტოლვილები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ვინც არ მიიღო რუმინეთის ქვეშევრდომობა, ისინი შეკრებილ იქნებიან ქალ. ტირგუტუიში. მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, ვისაც უცდია არალეგალურათ საზღვარზე გადასვლა, ან რუმინეთის მთავრობის მიერ დასჯილნი—როგორც არასასურველი ელემენტები. ამ ჯგუფის შესახებ ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ.

კომუნისტების დევნა იტალიაში

რომი, 23 სექტ. ფლორენციაში, ნეაპოლში და კალაბრიაში სწარმოებს კომუნისტების მასიური დაპატიმრება.

ცეხანოვსკის მოკვლის გამო

ვარშავა, 23 სექტემბერი. პრესის ცნობით, ლვოვში დააპატიმრეს იგნატი ბერკოვიჩი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ ის თითქოს მონაწილეობას ღებულობდა პროვოკატორ ცეხანოვსკის მოკვლაში ბოტვინთან ერთად.

პოლიტიკურ პატიმრების სიმშილობა ლვოვში

ვარშავა, 23 სექტემბერი. ლვოვში პოლიტიკურმა პატიმრებმა უდიერი მოპყრობის გამო გამოაცხადეს სიმშილობა, რის გამო ლვოვში ჩავიდა ციხის დეპარტამენტის უფროსი სკირინსკი. სკირინსკი გაეცნო მდგომარეობას და განკარგულება გასცა გადმოყვანილ იქნენ პატიმრები სარდაფებიდან კამერებში.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი უარს ამბობს სავალდებულო არბიტრაჟზე მოსულის საკითხში

სირიაში აჯანყება ფართოვდება.—დრუზები დამასკის კედლებთან

ანტიფრანგული დემონსტრაციები დამასკში. დრუზების ცხენოსანი რაზმების იერიშები

აბდ-ელ-ქერიმმა საზავო წინადადებით მიმართა საფრანგეთის მთავრობას

დრუზები დამასკის კედლებთან

ალექსანდრია, 23 სექტემბერი. დრუზების რაზმი დაბანაკდა დამასკის ახლობლად.

ფრონტზე გამგზავრებულ რაზმებს გენერალმა სარაილმა მიმართა სიტყვით და მოუწოდა დაუზოგავად მოეპყრან მეამბოხეებს.

მეამბოხეთა ტერიტორიაზე

ალექსანდრია, 23 სექტემბერი. აჯანყებულ დრუზების დროებითი მთავრობის განკარგულებით მეამბოხეთა მთელ ტერიტორიაზე აღმართულია ეროვნული დროშები.

დრუზების ბელადმა ელ-ატრაშმა მიმართა ყველა სახელმწიფოებს პროტესტით საფრანგეთის სარდლობის ბარბაროსობის წინააღმდეგ—სარდლობა ხვრეტავს ყველა მეამბოხეებს და ცეცხლს უკიდებს მეამბოხეთა სოფლებს.

დრუზების ცხენოსანი რაზმი გაიყო 100 წვრილ-წვრილ რაზმად და თავს ესხმის ფრანგების ფრონტს სხვადასხვა ადგილას. ამით მეამბოხეები ხელს უშლიან ფრანგების ჯარების შეჯგუფებას.

დრუზები სცდილობენ გააჭიანურონ ომი წვიმების დაწყებამდე.

ერთა ლიგა ინგლისს უჭერს მხარს

პარიზი, 23 სექტემბერი. ერთა ლიგის სხდომაზე დელეგაციებს შორის თანდათან ძლიერდება პესიმისტური განწყობილება მოსულის საკითხის გართულების გამო. საკითხი გართულდა იმის გამო, რომ ოსმალეთის დელეგატმა უარი განაცხადა ინგლისის წინადადებაზე ახალი საანკეტო კომისიის დანიშვნის შესახებ.

„ენფორმასიონ“-ის ჟენევაელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ოსმალების პოზიცია დიდ უკმაყოფილებას იწვევს ერთა ლიგაში, რითაც ინგლისის დელეგატებს სურთ ისარგებლონ. კორესპონდენტის სიტყვით, ოსმალეთმა სავალდებულო არბიტრაჟის პრინციპის უარყოფითი დაჰკარგა სახელმწიფოების „სერიოზული სიმპატიები“.

ამასთანავე შეიძლება აღინიშნოს, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეების განცხადებით ინგლისი მიიღებს ერთა ლიგის საბჭოს არბიტრაჟს მოსულის საკითხში იმის გამო, რომ საბჭოს პოზიცია ფრიად ხელსაყრელია მისთვის.

ინგლისის ახალი წინადადება

პარიზი, 23 სექტემბერი. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა თევფიქ-რუშდი-ბეიმ ერთი დღით გადასდო თავისი გამგზავრება ანგორაში. ფიქრობენ, რომ ეს მოხდა იმის გამო, რომ ინგლისის დელეგაციამ შეიტანა წინადადება მოსულის ვილაიეთის სანაპირო რაიონში ლიგის დელეგატების გაგზავნის შესახებ.

დემონსტრაციები საფრანგეთის წინააღმდეგ სირიაში

ალექსანდრია, 23 სექტემბერი. დამასკში იმართება საპროტესტო დემონსტრაციები ფრანგების „მხეცური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მრავალი ხალხი დააპატიმრეს და დახურეს რამდენიმე გაზეთი, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს აჯანყებულებს. სახალხო პარტიის ბელადები, რომელნიც დააპატიმრეს დრუზების აჯანყებისათვის თანაგრძნობის გამო, გაიგზავნენ დეირეზორში სირიის უდაბნოს საზღვარზე. საფრანგეთის სარდლობის გადაწყვეტილებამ სირიაში მახრჩობელა გაზების ხმარების შესახებ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

„სირიის მეფე“

ალექსანდრია, 23 სექტემბერი. ტრანს-იორდანიის ემირმა აბდალახმა საფრანგეთის უმაღლეს მმართველობას სირიაში მიმართა წინადადებით, რომ ის კისრულობს დრუზების აჯანყების ჩაქრობას იმ პირობით, თუ საფრანგეთი მას დანიშნავს სირიის მეფედ.

საფრანგეთის მმართველობამ ამის საპასუხოდ დაუყოვნებლივ გააძევა სირიიდან აბდალახის წარმომადგენლები.

ომი მაროკოში

აბდ-ელ-ქერიმის წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ

პარიზი, 23 სექტ. მიუხედავად ოფიციალური უარყოფისა, „იუმანიტე“ ამტკიცებს, რომ აბდ-ელ-ქერიმმა ამ დღეებში კვლავ წინადადება მისცა საფრანგეთს და ესპანეთს ზავის ჩამოგდების შესახებ.

„ჰავასის“ ცნობები

პარიზი, 23 სექტ. ჰავასის დეპეშათა სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ: მაროკოში რიფების ჯარებს შორის ადგილი აქვს უთანხმოებას; ჯარების ნაწილი აჯანყდა აბდ-ელ-ქერიმის წინააღმდეგ.

დორიო მაროკოში

პარიზი, 23 სექტ. სააგენტო „რადიო“-ს ცნობით, დორიომ მოახერხა მაროკოში ჩასვლა. საფრანგეთის პოლიციამ მიიღო ზომები დორიოს შესაპყრობად. დორიოს გაძევება იქიდან გადაწყვეტილია სულთანის დეკრეტით.

უჩალები უჩალებს ეხმარებიან

ვენა, 23 სექტემბერი. გაზ. „დიმინეატას“ ცნობით — რუმინეთის საჰაერო ძალების დეპარტამენტმა საფრანგეთის არმიას შესთავაზა თავისი სამსახური მაროკოში საჰაერო ომის საწარმოებლად. მფრინავებს მიეცემათ ფრანგული ჰაეროპლანები, რომლითაც იგინი გაემგზავრებიან მაროკოში ოქტომბრის დასაწყისს. მფრინავების ხარჯს გაიღებს თვითონ რუმინეთის მთავრობა.

სიმშილობა ტულონის საზღვაო ციხეში.

პარიზი, 23 სექტ. მეზღვაურებმა, რომლებიც სხედან ტულონის საზღვაო ციხეში, გამოაცხადეს სიმშილობა ნიშნად პროტესტისა ცუდი მოპყრობის და ცუდი კვების წინააღმდეგ.

კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა მოსთხოვა საზღვაო საქმეთა მინისტრს დაუყოვნებლივ გამოიძიოს საქმე.

ფრანგ კომუნისტების დევნა.

პარიზი, 23 სექტ. პასუხისგებაში აძლევენ კომუნისტ დეპუტატებს კაშენს, დორიოს და ბელანჟეს, „იუმანიტე“-ს რედაქციის გამგეს მიდოლს, მოქმედების კომიტეტის მდივანს შასინს, უნიტარიულ კონფედერაციის ბელადს მონმუსოს, ბერარს, სიუზანა ჟიროს და სხვებს. მათ აბრალებენ „იუმანიტე“-ში მოწოდების მოთავსებას ფრანგ ჯარისკაცების მიმართ რიფებთან დაძმობილების შესახებ.

დააპატიმრეს საერთაშორისო დახმარების კომიტეტის მდივანი.

პარიზი, 23 სექტ. აქ დააპატიმრეს მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის მდივანი კოპი.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

გერმანელი ნაციონალისტები საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ

ბერლინი, 23 სექ. გერმანელ ნაციონალისტების პრესა წინააღმდეგია, რომ მომავალ კონფერენციაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ მონაწილეობა მიიღონ საიმპერიო კაბინეტის სხვა წევრებმა, გარდა შტრეზემანისა. ამით ნაციონალისტები ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მომავალ კონფერენციას არ ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა, ის იქნება გერმანიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ეტაპი, ასე რომ ნაციონალისტებს რჩებათ მოქმედების თავისუფლება მოლაპარაკებაში საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

პოლიტიკურ წრეებში კი აღნიშნავენ, რომ კონფერენციას დაესწრება ლიუტერიც, თუმცა ის, როგორც უკვე იტყობინებოდენ, კონფერენციაზე დასასწრებლად ჩავა დაგვიანებით.

ნაციონალისტების უმაღლეს პარტიულ ორგანოების გუშინდელ სხდომაზე, როგორც სჩანს, გაიმარჯვეს ზოგიერთმა წრეებმა, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო.

ანტანტის და გერმანიის წარმომადგენელთა კონფერენცია

პაიზი, 23 სექ. „მატენ“-ის ცნობით, ანტანტის და გერმანიის წარმომადგენელთა კონფერენცია საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ შესდგება 5 ოქტომბერს ლოკარნოში ლაგო—მაჯიორეზე (შვეიცარია).

ფიქრობენ, რომ მუსოლინი მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაზე.

საბჭოთა ნალმოსნები ნეაპოლში

რომი, 23 სექტ. 25 სექტემბერს დილით ნეაპოლში ჩავლენ საბჭოთა ნალმოსნები „პეტროვსკი“ და „ნეზამოჟნიკ“. იტალიის ხელისუფლება ემზადება საბჭოთა მეზღვაურების საზეიმო შეხვედრისათვის. განზრახულია მთელ რიგ ექსკურსიების მოწყობა და სპეციალურ წარმოდგენის გამართვა. პარასკევს ნეაპოლის ქალაქის საბჭო აწყობს ნალმოსნების უფროსთა შემადგენლობის საზეიმო შეხვედრას. ნალმოსნები ნეაპოლში დარჩებიან 5 დღე.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ბუდაპეშტი, 23 სექტ. 2.000 მუშისაგან შემდგარმა მეტყავეთა კრებამ დადგენილება გამოიტანა პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოდ. ამავე დადგენილებით სასტიკად ჰკიცხავენ უნგრეთის პროფკავშირთა პრეზიდიუმის გამოსვლას პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ და მოუწოდებენ მუშათა მასებს—საკუთარი ძალღონით იბრძოლონ ერთიანი ფრონტისათვის.

სწორი ნაბიჯი



(„იზვესტია“-დან)

ჩინეთის ამბები

ამხ. კარახანი ჩინეთის ამბების შესახებ

მოსკოვი, 24 სექტ. საღამო სხდომაზე, რომელიც შესდგა 20 სექტემბერს მოსკოვ-პეკინის გადაფრენის მონაწილეთა საპატივცემლოთ, კარახანმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„ჩინეთის ხალხმა მისი საზოგადოებრივი, მუშათა და სტუდენტთა ორგანიზაციების სახით დამავალა გადმოგცეთ თქვენ მხურვალე სალამი და ძმური მადლობა იმ თანაგრძნობისა და დახმარებისათვის, რომელსაც ის ღებულობდა მოსკოვიდან მძიმე ბრძოლის დღეებში. ჩინეთის ხალხი გრძნობდა თავის გვერდით საბჭოთა კავშირის მილიონ მუშებს და გლეხებს, რომლებიც სიმპატიით და თანაგრძნობით უყურებდენ მის ბრძოლას. ამ თანაგრძნობამ და გამხნევებამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობის გაფართოებაში“.

შემდეგ კარახანი ეხება ჩინეთის ნაციონალური მოძრაობის ხასიათს, მის წარმატებებს, მიღწევებს და აღნიშნავს, რომ ჩინეთის ხალხი იბრძვის არა უცხოელების, არამედ იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ. ჩინეთის ხალხი ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი მისი მეგობარია; ის ხედავს აგრეთვე, რომ ევროპაში, ინგლისში და საფრანგეთში არის პროლეტარიატი, არიან კომუნისტები, არის რევოლიუციონური მუშათა მოძრაობა, რომლებიც აგრეთვე მასთან არიან ბრძოლაში.

კარახანი ეხება იმას, თუ რატომ სარგებლობს საბჭოთა კავშირი ჩინეთში დიდი სიმპატიებით და აღნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებიც ისარგებლებდენ ასეთი სიმპატიებით, რომ აწარმოებდენ ისეთ პოლიტიკას, როგორსაც ჩვენ ვაწარმოებთ.

ჩინეთის პასუხი ინგლისის წარმომადგენელს

პეკინი, 23 სექტ. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის პასუხში ინგლისის საქმეთა რწმუნებულისადმი აღნიშნავს, რომ ჩინეთის მთავრობას ზედმეტად მიაჩნია შანხაის ამბების ახლად გამოძიება. პირველი გამოძიება მას უკვე საკმარისად მიაჩნია და ახლად საქმის დაწყება უფრო გაართულებს ყველაფერს.

ჩინეთის ნოტაში მიუთითებენ აგრეთვე იმაზე, რომ შანხაის ამბებში ჩარეული ჩინელები უკვე გასამართლებულ იქნენ და უდანაშაულოდ ცნობილი შერეულ სასამართლოს მიერ. ამავე დროს კი კითხვაც არ დასმულა, რომ სამართალში მიეცენ საერთაშორისო კონცესიების ის მოხელენი, ვისაც ბრალად ედება ამ ამბების გამოწვევა. ამიტომ ნოტა მოითხოვს დაუყოვნებლივ შეუდგენ მოლაპარაკებას პირველი გამოძიების შედეგების მიხედვით.

კომუნისტ-დეპუტატ მორენოს მოკვლა

მექსიკა, 23 სექტ. ქალაქ ხალაპში, მთავრობის შენობაში მოჰკლეს შტატ ვერაკრუცის საკანონმდებლო საბჭოს კომუნისტი-დეპუტატი ფრანცისკო მორენო.

მორენო აქტიურათ ილაშქრებდა მთავრობის მექრთამე მოხელეების წინააღმდეგ.

რა ხდება უცხოეთში.

ბოიკოტის ისტორია ჩინეთში

როგორც მკითხველებმა იციან ჩინეთის ხალხმა იმპერიალისტებთან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღათ ბოიკოტი აირჩია. ბოიკოტი აქვს გამოცხადებული ინგლისელებს, რადგან ინგლისი ყველაზე უფრო შეურიგებელ პოზიციას ადგია ჩინეთის საკითხში. ინგლისელების საქონელს არ ყიდულობენ, არც მათზე ყიდიან საქონელს.

ბოიკოტი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ჩინეთში.

პირველად მას მიმართეს 1907 წ. იაპონელების წინააღმდეგ. რუსეთთან ომმა, რომლიდანაც იაპონელები გამარჯვებულნი გამოვიდენ, ძლიერ წაათამამა ისინი და შთაუნერგა აზრი თითქო მათ შეუძლიანთ ისევე თავისუფლად ბატონობა და თარეში ჩინეთში, როგორც თავის ქვეყანაში. ჩინეთში დღემდისაც არ შეწყვეტილა ბრძოლა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, იმ ხანებში კი შინაური ბრძოლა ძლიერ გამწვავებული იყო და იაპონელებმა გადასწყვიტეს ხელის მოთბობა ამ ბრძოლაზე. ისინი შეუდგენ იარაღის მიწოდებას სხვადასხვა ჯგუფებისათვის. პეკინის მთავრობამ აკრძალა ეს. მიუხედავად ამისა, იაპონიის სამხედრო გემმა „ტაზურუ მარუ-“მ მიიტანა კანტონში იარაღი და შეუდგენ მის გადმოტვირთვას. კანტონის მთავრობამ დააკავა გემი და ჩამოუშვა მასზე იაპონური დროშა.

იაპონელებმა თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალეს, პეკინის მთავრობას პროტესტით მიმართეს, მოსთხოვეს ბოდიშის მოხდა და გარდა ამისა 100,000 დოლარის გადახდა „ზარალის ასანაზღაურებლად“.

ამ თავხედური მოთხოვნილებით აღშფოთებულმა კანტონის მთავრობამ იაპონიას ბოიკოტი გამოუცხადა. კანტონის მაგალითს ჩინეთის ყველა ქალაქებმა მიბაძეს და ჩქარა მთელ ჩინეთში გავრცელდა ბოიკოტი იაპონელების მიმართ. კანტონის მთავრობა იაპონელების მიერ მებრძოლ ჯგუფებისათვის იარაღის მიწოდებას, ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევათ სთვლიდა.

ბოიკოტს ისეთი დადებითი შედეგები მოჰყვა, რომ ჩინელები შეუდგენ მის გამოყენებას უფრო ფართოდ და, როცა 1908 წ. იაპონელები ჩინეთის მთავრობის შეუკითხავად შეუდგენ ალდუნ-მუკდენის რკინისგზის ხაზის გაფართოებას, ტიანცზინელ სტუდენტების ინიციატივით იაპონელებს ხელმეორედ გამოუცხადეს ბოიკოტი.

1915 წ., როცა იაპონიამ ჩინეთს წაუყენა ცნობილი „21 მოთხოვნილება“, პეკინის მთავრობამ თვითონ იკისრა იაპონიისათვის ბოიკოტის გამოცხადების ინიციატივა. შანხაიმ განსაკუთრებით ენერგიულად გაილაშქრა იაპონელების წინააღმდეგ. ბოიკოტი, რომელიც პირველ ხანებში ადგილობრივ ხასიათს ატარებდა, ჩქარა ნაციონალურ მოძრაობად გადაიქცა და მისმა შედეგებმა დაამტკიცეს, რომ ეს არის ბრძოლის ძლიერესი იარაღი.

1919 წ. შანდუნის საკითხმა კვლავ გამოიწვია იაპონელების ბოიკოტი. სტუდენტობა და ინტელიგენცია მოითხოვდენ ცენტრალური მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას, მაგრამ მოძრაობამ ისეთი მკაცრი და ნაწილობრივ მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო, რომ ცენტრალურმა მთავრობამ ჯარები გამოიწვია, რათა ბოლო მოეღო მოძრაობისათვის. მაგრამ შანხაიში, იანცზეკიანგის მიდამოებში და სამხრეთ-ჩინეთში ბოიკოტი გრძელდებოდა და იაპონელები იძულებული შეიქნენ დათმობაზე წასულიყვენ.

ამ დროიდან იაპონია უკვე ერიდება ჩინეთის გალიზიანებას და ბოიკოტისტური მოძრაობის გამოწვევას, რადგან ბოიკოტმა ძლიერ დიდი ზარალი მიაყენა იაპონიის ვაჭრობა-მრეწველობას.

მაგრამ 1923 წ. კვლავ დაიწყო იაპონელების ბოიკოტი, რომელიც გავრცელდა შანხაიზე და სამხრეთ-ჩინეთზე.

1925 წ. ჩინეთმა კვლავ მიმართა ბოიკოტს, ახლა უკვე ინგლისის წინააღმდეგ და თუ რა განმანადგურებელი შედეგები მოაქვს ამ ბოიკოტს ინგლისისათვის, ამას ამტკიცებს უმუშევართა რიცხვის ზრდა ინგლისში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სკლიანსკის და ხურგინის ხსოვნის უკვდავსაყოფად

მოსკოვი, 24 სექტ. კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს სკლიანსკის და ხურგინის ხსოვნის უკვდავყოფა, დაარსა დაღუპულ ამხანაგების ხსოვნის ფონდი და გახსნა მიმდინარე ანგარიში სამრეწველო ბანკში.

მფრინავების გრომოვის და ვოლკოვიანოვის დაბრუნება.

მოსკოვი, 24 სექტ. 22 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნდენ მფრინავები გრომოვი და ვოლკოვიანოვი.

ფეიქართა ხელფასის საკითხის გარშემო.

მოსკოვი. 23 სექტ. კოლექტიურ ხელშეკრულების მოსალოდნელ შეცვლასთან ერთად ფეიქართა ცეკას პრეზიდიუმმა განიხილა საფეიქრო მუშათა ხელფასის მომატების საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა ფეიქართა საშუალო ხელფასის სიმცირე შედარებით სხვა დარგის მუშებთან. საჭიროთ იქნა ცნობილი აღიძრას საკითხი ხელფასის მომატების შესახებ, ამიტომ წინადადება მიეცათ ადგილობრივ პროფორგანიზაციებს სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად განიხილონ ეს საკითხი. ამასთანავე მხედველობაში მიიღონ შრომის ნაყოფიერება და სამეურნეო ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა.

რადიჩის ჭორების უარყოფა

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 24 სექტ. ჟენევიდან მოვიდა ცნობა, რომ რადიჩს განუცხადებია, თითქოს მისი მოსკოვში ყოფნის დროს ჩიჩერინს ეთქვას მისთვის: საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ გააძევებს ნანსენს და მის თანამშრომლებს, თუ მათი სომხეთში დარჩენა არასასურველი გახდება, და თითქოს საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ნანსენი ეწევა ჯაშუშობას ანტანტის სასარგებლოდ.

ეს განცხადება წარმოადგენს სრულ სიცრუეს. ჩიჩერინს საერთოდ არაფერი უთქვამს რადიჩთან ნანსენის შესახებ და მით უმეტეს არ უთქვამს მისი გაძევების შესახებ.

სრული სიცრუეა აგრეთვე განცხადება, თითქოს საბჭოთა კავშირის მთავრობას ოდესმე ეფიქროს, რომ ნანსენი ეწევა ჯაშუშობას ანტანტის სასარგებლოდ.

თუ ეს განცხადება მართლაც რადიჩს ეკუთვნის, ასეთი უხეში სიცრუის მიზანი იქნება მხოლოდ ერთი რამ: ხელი შეუშალოს ნანსენს საშუალებების მიღებაში სომხეთის მოსარწყავად და იქ ლტოლვილ სომხებს დასაბინავებლად.

11 მილიონის ხმა

„პრავდა“-ს წერილი.

მოსკოვი, 24 სექტ. „პრავდა“ მოწინავე წერილში „11 მილიონის ხმა“ სწერს:

„ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კომიტეტის დეკლარაცია წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ აქტს. ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტის დეკლარაცია,—ეს არის საერთო თვალსაზრისი, რომელშიაც შეთანხმდენ ორივე ქვეყნის დარაზმული პროლეტარები.

კურსი პროფმოძრაობის მთლიანობისაკენ, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ და რომელსაც ჩვენ ვანხორციელებთ, სავსებით ამართლებს თავის თავს. ჩვენთვის გასაგებია „ფორვერტს“-ის ბრაზმორეული სისინი ინგლის-საბჭოთა კავშირის მოქმედების კომიტეტის შექმნის გამო. ერთი წელიც არ არის მას შემდეგ, რაც კონტინენტალური სოციალ-გამყიდველების ამ „მებრძოლმა“ ორგანომ ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტს უწოდა მითიური, არ არსებული ორგანიზაცია. ეხლა, ალბათ, „ფორვერტს“-ი იძულებული გახდება გაჩუმდეს, რადგან ამჟამად ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტმა მიიღო სათანადო იურიდიული სახე; შეთანხმება მსოფლიოს ამ ორივე უდიდეს ქვეყნის პროფკავშირთა ერთიანი ფრონტის შესახებ დაამტკიცა როგორც საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმმა, ისე კონგრესმა სკარბოროში.

ყველა ქვეყნის პროლეტარების სოლიდარობა, მთლიანობა—აი, რა მიდის წითელ ზოლივით კომიტეტის მთელს დეკლარაციაში. მთლიანობა მით უფრო ადრე იქნება მიღწეული, რაც უფრო ენერგიულად, რაც უფრო გაბედულად და საბოლოოდ დაძლეული იქნება ის დაბრკოლებები, რომელთაც ქმნიან ბიუროკრატები ამსტერდამის ინტერნაციონალიდან; საერთაშორისო პროლეტარული მთლიანობის საძირკველი მტკიცდება, უნდა გავსწიოთ წინ გაბედულად და შეუჩერებლად“.

სახელმწიფო მრეწველობის დასახმარებლად

მოსკოვი, 24 სექტ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტი, რომლის მიხედვით სახელმწიფო მრეწველობისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის და გრძელვადიან სამრეწველო კრედიტის გაერთიანების მიზნით, არსდება სახელმწიფო მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელი საკავშირო საზოგადოება. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 400 მილ. მანეთი იფარება 12 თვის განმავლობაში დღიდან საზოგადოების წესდების დამტკიცებისა.

შრომის ხელფასის მომატება

მოსკოვი, 24 სექტ. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თავის სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას დაამუშაოს საკითხი თუ რა რაოდენობით შეიძლება სამუშაო ხელფასის მომატება მრეწველობაში და ტრანსპორტ[illegible] განიხილოს საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ამჟამად არსებულ ქსელის შეცვლის საკითხი, და დაამუშაოს საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია განსაკუთრებული ტარიფის განხორციელება პასუხისმგებელ მუშაკებისათვის და მეთოდები მათი ხელფასის გასტუმრების.

ჩვენი სახალხო მეურნეობა

სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების განხილვა შრომის და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე

მოსკოვი, 24 სექტ. 18 სექტემბერს ამხ. ლ. ბ. კამენევის თავმჯდომარეობით შესდგა შრომის და თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ 1925—26 წლისათვის.

პირველად გამოვიდა ამხ. პიატაკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცდა საკონტროლო ციფრების დაწესებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ჩვენი მეურნეობის გეგმიან საფუძველზე დაყენების საქმეში. მაგრამ საკონტროლო ციფრების მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ციფრები ვერ არის საკმაოდ დამაჯერებელი—ისინი არ არიან აგებული ბალანსის მეთოდით, მათში არ არის შინაგანი კავშირი, ურომლისოდაც შეუძლებელია ამ ციფრების კრიტიკა. ჩვენ ვიხილავთ საკონტროლო ციფრებს, უმთავრესად, როგორც განსაზღვრულ დირექტივას ჩვენი სამეურნეო ორგანოების მიმართ გეგმიან მუშაობის გატარებისათვის 1925—26 წელში. ამ ციფრებიდან არ შეიძლება იმ ნაწილის გამოყოფა, რომელიც შეეხება მრეწველობას, რომელიც იმყოფება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში. ამიტომ შეუძლებელია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ციფრების შეთანხმება სახელმწიფო საგეგმო კომისიის ციფრებთან.

შემდეგ პიატაკოვი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასკვნები მრეწველობის შესახებ, რომლებიც გამოყვანილია უფრო დეტალურ გეგმების ნიადაგზე, უფრო ოპტიმისტურია, ვინემ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა.

პიატაკოვს მოჰყავს მთელი რიგი ციფრებისა, რომლებიც ცხადყოფენ განსხვავებას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საგეგმო კომისიის ციფრებს შორის. დასასრულ პიატაკოვი აღნიშნავს, რომ საკონტროლო ციფრები რომ ყოფილიყო აგებული ბალანსის მეთოდზე, შესაძლებელი იქნებოდა შეთანხმებული დასკვნების გამოტანა, მაგრამ ეს არ არის და ამ დასკვნების გამოტანაც შეუძლებელია.

შემდეგ გამოდის **სოკოლნიკოვი**, რომელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცდა მოგვცეს საპერსპექტივო ცხრილი ერთი წლით ადრე, უსათუოდ მიზანშეწონილია. მაგრამ საგეგმო კომისიის ციფრებში ბევრია ნაჩქარევი ციფრი და ამიტომ საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრებს პრაქტიკულ მუშაობისათვის ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ციფრები უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც შავი, რომელსაც ესაჭიროება დიდი გადამუშავება.

ეხება რა საპერსპექტივო ცხრილების შედგენის მეთოდს, სოკოლნიკოვი ეთანხმება პიატაკოვს, რომ ციფრებში არ სჩანს მეურნეობის ცალკე დარგების შინაგანი კავშირი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ციფრებში არ არის აგრეთვე ნაჩვენები, თუ როგორია მეურნეობის აღდგენის ახალი გზები და მეთოდები ერთი წლის განმავლობაში.

შემდეგ სოკოლნიკოვი გადადის ფულის ტრიალის ბიუჯეტის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცხრილები არ იძლევიან პრაქტიკულ დირექტივებს ბიუჯეტის დარგში. შემდეგ,—საგეგმო კომისია ცდილობს გაითვალისწინოს, მაგრამ ვერ ითვალისწინებს სავსებით მთელ რიგ სხვა მომენტებს. შემცირდა საქონლის ბრუნვა იმის გამო, რომ მას გამოშორდა ისეთი ღირებულებანი, როგორიც არის მიწა და ფასიანი ქაღალდები, მაშასადამე, ფულის მასაც უნდა შემცირდეს. ამას გარდა ჩვენს მეურნეობაში უნდა ვცდილობდეთ საზოგადოთ ვიმუშაოთ რაც შეიძლება ნაკლები ფულის რაოდენობით, მაშასადამე, ფულის ხმარა ნაკლები უნდა იყოს. სოკოლნიკოვს მოჰყავს ციფრები ფულის ტრიალის რაოდენობის შესახებ და გამოჰყავს დასკვნა, რომ ფინსახკომის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებს შორის განსხვავება აღწევს 350—400 მილიონ მანეთამდე.

შემდეგ გამოსული **სვიდერსკი** აღნიშნავს, რომ ძნელია 1913 წლის ცნობების მიღება პირობითი საზომად და შედარებების მასზე დამყარება. სვიდერსკი ეხება წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობს საგეგმო კომისიის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ციფრებში.

ლაპარაკობს აგრეთვე **მილიუტინი**, რომელიც შემცდარად სთვლის საგეგმო კომისიის ხაზს ფასების პოლიტიკის მიმართ.

კვირინგი ეწინააღმდეგება ბრალდებას, რომელსაც უყენებენ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახელდობრ, რომ ის სასოფლო მეურნეობის ინტერესებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ორატორი შემცდარად სთვლის ასეთ ბრალდებას და მოჰყავს მოსაზრებები იმის დასამტკიცებლად, რომ საგეგმო კომისიის მხრივ აქ ადგილი არა აქვს სამრეწველო გადახრას.

გამოსულ ორატორების კრიტიკულ შენიშვნებს უპასუხებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრი **სტრუმილინი**, რომელიც ეხება საგეგმო კომისიის ამოცანებს და აღნიშნავს, რომ საკონტროლო ციფრების შედგენის დროს საგეგმო კომისიას სახეში ჰქონდა პირველ ყოვლისა, მთელი სახალხო მეურნეობის ერთ ცხრილში მოქცევა. ორატორი შემცდარათ სთვლის იმ მოსაზრებას, თითქოს საგეგმო კომისიის ციფრები გადაჭარბებული იყოს.

შემდეგ გამოდის **კამენევი**, რომელიც ხაზს უსვამს საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების დიდ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ საკონტროლო ციფრებს, როგორც პირველ ცდას, არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა ნაკლი და შეცდომები.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სმილგა** პასუხს აძლევს შენიშვნებს საკონტროლო ციფრების შესახებ, ეთანხმება კამენევს, რომ სუსტად არის დამუშავებული სამეურნეო პროცესის სოციალურ—საზოგადოებრივი მხარე სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობაში, მაგრამ ამის მიზეზად ორატორი სთვლის დროის სიმცირეს და მუშაობის დაუმთავრებლობას.

რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შევიდენ კამენევი, სოკოლნიკოვი, კვირინგი, სმილგა, შეინმანი, სვიდერსკი, კრასინი და პიატაკოვი.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ოთხშაბათს, 23 სექტემბერს, გაიხსნა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში შეტანილი იქნა შემდეგი საკითხები: 1) რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, 2) ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კომფრაქციის მოხსენება, 3) ღონისძიებანი კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების განსამტკიცებლად და გასაჯანსაღებლად, 4) მოხსენება კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ, 5) ბიუჯეტი, 6) სასოფლო - სამეურნეო კრედიტის გეგმა 1925—26 წლისათვის, 7) ამიერ-კავკასიის მრეწველობა.

პლენუმის პირველ ორ სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: 1) ამხ. **სერგო ორჯონიკიძის**,—ამ.-კავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ აპრილის უკანასკნელი პლენუმიდან დღევანდლამდე,—და 2) ამხ. **სემკოვის** მოხსენება ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს კომფრაქციის მუშაობის შესახებ.

პირველი მოხსენების მიხედვით პლენუმს წარედგინა რეზოლიუციის ვრცელი პროექტი, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს პარტიული აპარატის გასამაგრებლად, პარტმუშაობის გასაცხოველებლად და სახელმწიფო ორგანოების მუშაობის მოსაწესრიგებლად. ეს პროექტი რამოდენიმეთ ნაყოფია იმ დიდი მუშაობის, რომელიც ა/კავ. საკონტროლო კომისიამ აწარმოვა ა.-კავკასიის სოფლის გამოსაკვლევად; იგი უმთავრესად შეიცავს იმ ღონისძიებათა განხილვას, რომელნიც ეხებიან პარტიულ და საბჭოთა ქვედა ორგანოებს.

პლენუმის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. სემკოვის მოხსენების გარშემო. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ბალტინის** მოხსენება კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის მოქმედებისა და ა.-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს კომფრაქციის მუშაობის შესახებ საბოლოო რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების საგ.-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი

მეშვიდე სხდომა

თათბირი გადადის დღის წესრიგის მორიგ საკითხზე

სოფლის ინტელიგენციის შესახებ

(ამხ. ვ. ბახტაძის მოხსენება)

საკითხი ინტელიგენციის, განსაკუთრებით კი სოფლის „ინტელიგენციის შესახებ დღეს ერთი უმთავრესი და საჭირბოროტო ხასიათის საკითხთაგანია.

ამას წინად ჩვენ ვდღესასწაულობდით აკადემიის 200 წლის თავს. ამ დღესასწაულმა სავსებით გამოააშკარავა ის, თუ როგორი მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება არსებობს მეცნიერების და რევოლიუციის, მასწავლებლობის და საბჭოთა ხელისუფლებას შორის.

ჩვენ ვიცით ამხ. ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ კომუნისტური საზოგადოების შენება მარტო კომუნისტების მეოხებით, თუ ამ შენების საქმეში აქტიურად არ ჩავაბით უპარტიოთა ფართო მასსები და თუ მასში გამოყენებული არ იქნა მშრომელი ინტელიგენცია — შეუძლებელია.

მაგრამ როგორ სდგას საქართველოში ინტელიგენციის საკითხი?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სინამდვილეში საკითხი ინტელიგენციის შესახებ მეტად რთულია. ეს იმ დროს, როდესაც რუსეთში ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა.

როგორც ვიცით, საქართველოს მენშევიკური „დემოკრატიული“ ხელისუფლება სავსებით ეყრდნობოდა ინტელიგენციას, რომელსაც ჰქონდა გამომუშავებული ნაციონალისტური პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ასეთ პირობებში რასაკვირველია, ამ ინტელიგენციას საქართველოს გასაბჭოებისათვის უნდა გამოეცხადებინა ბრძოლა და, მართლაც, საქართველოს ინტელიგენცია, რომელიც მოწამლული, დაავადებული იყო ნაციონალიზმით და შოვინიზმით დაირაზმა ე. წ. „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგის ქვეშ და იბრძოლა „ერის სუვერენიტეტისათვის“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში არ გვყავდა მშრომელი ინტელიგენცია. ხოლო ის, რაც იყო, დარაზმული გვყავდა კომუნისტურ პარტიაში. ასე რომ უპარტიოთა პატიოსანი ინტელიგენცია, რომელიც უნდა მდგარიყო რევოლიუციის მხარეზე, დღემდე ჩვენ არ მოგვეპოებოდა, როგორც ეს რუსეთში იყო.

აი ყოველივე ამას ჩვენ იმისათვის აღვნიშნავთ, რომ ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ ჩვენ კიდევ მოგვიხდება და ამიტომ თქმა, რომ ინტელიგენციის საკითხი დღეს გადაჭრილია, რომ ინტელიგენცია სავსებით ჩვენს მხარეზეა—არ შეიძლება. ამ მიმართულებით ჩვენ მომავალში კიდევ დიდი მუშაობის წარმოება გვმართებს.

მაგრამ აქ ერთი რამ მაინც ცხადია: განსაკუთრებით აგვისტოს ავანტიურის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ინტელიგენციის გამოფხიზლება არაჩვეულებრივი სისწრაფით მიმდინარეობს.

სწორედ ამიტომაა, რომ დღეს ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით წამოჭრილია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ღონისძიებით და საშვალებით ჩავაბათ ეს ინტელიგენცია ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობაში. მაგრამ აქ ისმის მეორე საკითხიც, თუ რამდენად ნორმალური და მისაღებია ის დამოკიდებულება, ის მიდგომა, რომელსაც სოფლად აქა-იქ აქვს ადგილი კომუნისტების და კომკავშირელების მხრივ სოფლის ინტელიგენციის მიმართ.

ფაქტები ლაპარაკობენ, რომ მრავალ ალაგას ამხანაგებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრეს მტრული, ბრძანებლობითი დამოკიდებულება სოფლის ინტელიგენციისადმი.

როგორ არაჩვეულებრივადაც არ უნდა გვეჩვენოს, ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ ინტელიგენტურ ძალებს. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა სოფლის იმ პარტუჯრედების წინააღმდეგაც, რომლებმაც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეითვისეს ინტელიგენციის გამოყენების მნიშვნელობა.

დაუზოგველი ბრძოლა იმ კომუნისტების და კომკავშირელების წინააღმდეგ, რომლებიც სწორად ვერ ატარებენ პარტიის ხაზს ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაში,—აი ის დაკვრითი ამოცანა, რომელიც მოითხოვს სათანადო გადაჭრას, განსაკუთრებით სოფლად.

მაგრამ ამასთანავე ერთად არას შემთხვევაში და არც ერთ წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ საერთოდ „კომუნიზმს მხოლოდ კომუნისტების საშუალებით ჩვენ ვერ ავაშენებთ“ ჩვენს კულტურულად ჩამორჩენილ და გლეხურ ქვეყანაში, თუ ჩვენს და ინტელიგენციას შორის არ დავამყარეთ მტკიცე, ურყევი კავშირი, თუ ინტელიგენციასთან არ გამოვძებნეთ საერთო თანამშრომლობის ენა.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, ჩვენი გლეხობის ფართე მასსების კულტურული მოთხოვნილებები არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ ამ მასსებში ხდება კულტურული რევოლიუცია. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს კი არ შეუძლიათ, რადგან ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად სოფლის უპარტიო აქტივი პოლიტიკური და კულტურული განვითარების მხრივ გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე სოფლის პარტუჯრედი.

რა არის საჭირო და რა გვმართებს ჩვენ ამ შემთხვევაში? ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებელია, რომ პარტიამ სოფლის გლეხკაცობის კულტურულ ცხოვრებას გაუწიოს ხელმძღვანელობა ადგილობრივი უპარტიო და პატიოსან ინტელიგენციის საშუალებით. ასე რომ კულტურულ ხელმძღვანელობის საქმეში სოფლის ინტელიგენციამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს. ამას მოითხოვენ რევოლიუციის ინტერესები.

მაგრამ კონკრეტიულად როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ეს კულტურული ხელმძღვანელობა?

სოფლის მასწავლებელი, გარდა სკოლებში მეცადინეობისა, მხურვალე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საბჭოთა-საზოგადოებრივ მუშაობაშიაც.

სოფლის გლეხკაცობა სოფლის მასწავლებელში უნდა ხედავდეს ისეთ ძალას, რომელიც ყოველმხრივ ახლოს იდგომება მასთან.

მასწავლებელი უნდა ჩავაბათ ქოხ-სამკითხველოების, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების, სხვადასხვა წრეების მუშაობაში.

მასწავლებლობამ და საერთოდ სოფლის ინტელიგენციამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს აგრეთვე ახალი ყოფა-ცხოვრების პრინციპების პროპაგანდის საქმეშიაც, კერძოდ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ სოფლის ინტელიგენცია განა მარტო კულტურულ მუშაობაში უნდა იქნას ჩაბმული? სოფლის ინტელიგენცია, როგორც ვსთქვით, უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა და პოლიტიკურ მუშაობაშიაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლელ ინტელიგენტის უმთავრესად კი სოფლის მასწავლებლის პარტიაში მიღების საკითხს. ადგილობრივ საბჭოებშიაც უნდა გავიყვანოთ ისეთი პატიოსანი კულტურული ძალები, რომლებიც სათანადო ავტორიტეტით სარგებლობენ გლეხურ მასსებში. თვით საბჭოებიდან არსებულ კულტურული სექციების მუშაობაც მაშინ იქნება ნაყოფიერი და საგრძნობი შედეგების მომტანი, თუ აქაც სოფლის ინტელიგენციას მთელი თავისი შესაძლებლობით ავამოძრავებთ და ავამოქმედებთ.

ერთი სიტყვით ამხანაგური, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსა და სოფლის ინტელიგენციის შორის და ასეთი გზით ახალი სოფლის შენება,—აი რას უნდა მიექცეს დღევანდელ პერიოდში ფრიად სერიოზული ყურადღება და საითკენ უნდა წარიმართოს ჩვენი მუშაობა.

არაფრათ ვარგა ის კომუნისტი და არც ის კომკავშირელი, რომელიც სისწორით და სისრულით ცხოვრებაში ვერ გაატარებს პარტიის ამ დირექტივას.

აქ კი კვლავ უნდა განვიმეოროთ, რომ სოფლის პატიოსან ინტელიგენციისადმი გულგრილობა, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აშენებლობაში მისი როლის და დანიშნულების დაუფასებლობა—საჭიროა ერთხელ და საბოლოოდ აღმოიფხვრას.

მაგრამ ამასთანავე ერთად აუცილებელია ხაზი გაუსვათ ერთ გარემოებასაც: ჩვენს ამხანაგებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, მიუხედავად იმისა რომ სოფლის ინტელიგენცია ასეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი სოფლის ცხოვრებაში, საბოლოო ჯამში საერთო ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა სოფელზე მათ ეკისრებათ და ევალებათ.

[illegible] შეცვალის,—ხოლო იმ ლიკვიდატორულ განწყობილებას, [illegible] რომელიც აქა-იქ ფეხს იკიდებს, როგორც შედეგი პარტიის მიერ აღებულ „ახალ კურსისა“,—უნდა გამოეცხადოს სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა. სოფლის კომუნისტი, რომელიც ხედავს და გრძნობს, რომ სოფლის ინტელიგენტი მასზე უფრო მომზადებული და ძლიერია,—საკითხს უნდა აყენებდეს ამ რიგად: უნდა შევეცადო, რომ ეს კულტურული ძალა გამოვიყენო და თვით მეც უნდა ვსცდილობდე, რომ გავამდიდრო ჩემი ცოდნა. ასე რომ აქ საკითხი სდგას არა კომუნისტის შეცვლის შესახებ უფრო მომზადებულ და კულტურულ ინტელიგენტის მიერ, არამედ მის გამოყენების შესახებ ამავე კომუნისტის მიერვე რევოლიუციის საქმის და ინტერესებისათვის. აქ საკითხი სდგას აგრეთვე იმის შესახებ, რომ ყოველ მიზეზს გარეშე ავამაღლოთ სოფლად მომუშავე პარტამხანაგების პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონე.

აი მხოლოდ ასეთი გზით შესაძლებელი გახდება პარტიის მიერ დასახულ ამოცანების სასურველად გადაჭრა.

დასასრულ ამხ. ბახტაძე ჩერდება ეროვნულ უმცირესობათა ინტელიგენციის შორის მუშაობის და საკუთარი, კლასიური ინტელიგენციის შექმნის საკითხებზე.

ამხ. ვ. ბახტაძის მოხსენების შემდეგ თათბირი გადადის მორიგ საკითხზე.

კორესპონდენტთა მოძრაობა

(ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება)

ყველასათვის ცხადია, რომ ამ ბოლო ხანებში მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა საგრძნობლად განვითარდა და გაიზარდა. აშკარაა ისიც, რომ ამ მოძრაობას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

დღემდე სამწუხაროდ, მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის ორგანიზაციულ დარგში არსებობდა მთელი რიგი გაუგებრობისა. მაგრამ საბჭოთა კავშირის კორესპონდენტთა უკანასკნელმა თათბირმა ამას ბოლო მოუღო.

რა ძირითადი ამოცანები დგანან მუშკორთა და გლეხკორთა წინაშე? მუშათა კლასის და გლეხობის მჭიდროთ დაახლოებისათვის ხელის შეწყობა, საბჭოების განმტკიცება, გლეხური მეურნეობის საჭიროებების, ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის, შრომის ნაყოფიერების გადიდების და წარმოების საკითხების გაშუქება პრესაში და სხვა,—აი ის ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაჭრისაკენ მიმართული უნდა იქნეს კორესპონდენტთა კალამი.

მუშკორები და გლეხკორები თავიანთი შენიშვნებით ეხმარებიან პარტიას და ხელისუფლებას ყოველგვარი არანორმალობის აღმოსაფხვრელად.

მუშკორების და გლეხკორების ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მათ ხელი შეუწყონ საბჭოთა აპარატების გაჯანსაღების საქმეს. ამისათვის კი საჭიროა, რომ კორესპონდენტებმა გააშუქონ პრესაში ყველა უწესოებანი: „ჩინოვნიკური“ მოპყრობა მუშებისა და გლეხებისადმი, ბიუროკრატიზმი, ვოლოკიტა და მექრთამეობა.

მუშკორებმა და გლეხკორებმა მეტად დიდი როლი უნდა ითამაშონ აგრეთვე კოოპერატივის და სხვა ორგანიზაციების მუშაობის საკითხების გაშუქებაშიც.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწეროს მუშკორმა ან გლეხკორმა გაზეთში, უნდა ითქვას, რომ დღეს ამ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

უმთავრესი, რაც არასოდეს არ უნდა გამოეპაროს კორესპონდენტს მხედველობიდან, ის არის, რომ ის კარგად, დაკვირვებით უნდა გაეცნოს ფაქტებს, ცნობებს და აქედან ძალიან დიდის სიფრთხილით უნდა გამოიყვანოს შესაფერისი დასკვნები.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სამეურნეო და სხვა ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან კორესპონდენტების შენიშვნებს და თავის დროზე უპასუხონ მათ. გაზეთის რედაქციებიც თავის მხრივ თვალყურს უნდა ადევნებდენ კორესპონდენტების შენიშვნებს, ისინი უნდა ეკითხებოდენ სამეურნეო ორგანოებს ამა თუ იმ შენიშვნების პასუხის შესახებ და აქვეყნებდენ მას გაზეთებში.

საჭიროა, რომ პროკურატურამაც ენერგიული ზომები მიიღოს კორესპონდენტების შენიშვნებში აღნიშნულ ფაქტების გამოკვლევა-გამოძიებაში, დროზე აცნობებდეს თავის დასკვნებს რედაქციებს და საერთოდ მჭიდრო კავშირს ამყარებდეს მუშკორ და გლეხკორთა ორგანიზაციებთან.

მაგრამ იმისათვის, რომ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მუშაობამ უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს, აუცილებელია მჭიდრო კავშირი პარტიასთან და კომკავშირთანაც. პარტიამ და კომკავშირმა თავიანთი მხრივაც უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობას და განამტკიცონ მასზე თავისი ხელმძღვანელობა.

გარდა ამისა საჭიროა ისიც, რომ მუშკორთა და გლეხკორთა შორის გავაძლიეროთ აღმზრდელობითი პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის ორგანიზაციულ ფორმებზე და აღნიშნავს, რომ კორესპონდენტის არჩევა მიუღებელი და მიზანშეუწონელია. მუშკორთა და გლეხკორთა ორგანიზაცია უნდა მოხდეს ნებაყოფლობითი პრინციპზე. კორესპონდენტები უნდა შემოკრბენ გაზეთების გარშემო. მუშკორთა და გლეხკორთა ბიუროები კი დაარსებული უნდა იქნეს გაზეთების რედაქციებთან. პარტიული ხელმძღვანელობა სწორედ ამ რედაქციების საშუალებით უნდა წარიმართოს.

დასასრულ ამხანაგი ეხება კორესპონდენტების დევნის საკითხს.

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების შემდეგ თათბირმა დაამტკიცა თეზისები დღის წესრიგში დასმულ მოხსენებების მიხედვით, რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

დღეს, 25 სექტემბერს მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის ოლქკომებისა და მაზრკომების საორგანიზაციო განყოფილებათა

გამგეების თათბირი

დღის წესრიგი

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. საორგანიზაციო განყოფილებათა მუშაობის გეგმის პროექ
3. დებულებები საორგანიზაციო განყოფილებებზე.
4. დებულებები თემკომებზე და თემკომების სისტემაზე გადასვლის პროექტი.
5. პარტიაში წევრთა მიღების შესახებ.
6. პარტაქტივის ცალკე კატეგორიათა უსაზღვრო დატვირთვის აღმოფხვრის შესახებ.
7. სახელმწიფო და საზოგადო სამეურნეო სამუშაოებზე მუშებისა და გლეხების წამოყენების შესახებ.
8. საინფორმაციო სასტატისტიკო ქვე-განყოფილებათა დაყენების შესახებ.
9. საღრიცხვო განყოფილების დაყენების შესახებ.

წინადადება ეძლევა საორგანიზაციო განყოფილებათა ყველა გამგეებს ადგილებიდან მოხსენებისა და აგრეთვე დღის წესრიგში დასმულ ყველა კითხვებისათვის მოამზადონ მასალები და ოცდა ოთხისთვის იყვნენ ცეკაში.

ცეკას საორგანიზაციო განყ. გამგის მოვ. **მირიმანოვი**.

საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დავალებით

მოსკოვის ხუროთმოძღვართა

საზოგადოება

აცხადებს

საკავშირო კონკურსს

ქ. მოსკოვში ცენტრალურ ტელეგრაფის და საერთაშორისო სატელეფონო სადგურის შენობის პროექტის შესადგენად

კონკურსის პროგრამის მიღება შეიძლება მოსკოვის ხუროთმოძღვრო საზოგადოებაში (ერმოლოვის შესახ. № 17) 1925 წ. 14 სექტემბრიდან

პირველი პრემია—5.000 მანეთი, ხოლო ყველა 6 პრემიის საერთო ჯამი—15.000 მან.

პროექტების წარმოდგენის ვადა 1925 წ. 30 დეკემბერი.

მოსკოვის ხუროთმოძღვრების საზოგადოების თავჯდომარე—ხუროთმოძღვრების აკადემიკოსი—შჩუსევი.

მდივნები: ხუროთმოძღვარი—ანტიპოვი
ხუროთმოძღვარი—რაზოვი.

ნის. 1761—1—1

ა.-კ. მრეწველობის მდგომარეობა

(ცენტ. სტატისტ. სამმართველოს გამოკვლევა)

ა.-კ. სტატ. ცენტ. სამმართველომ დაასრულა ა.-კ. მრეწველობის გამოკვლევა.—გამოკვლეულია მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, პროდუქცია და მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა.

ა.-კ. სტატისტ. ცენტ. სამმართველომ დაასრულა ა.-კ. მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც შეეხო ა.-კ. მრეწველობის ყველა დარგებს და მათ შორის კოოპერატიულ მეღვინეობის და სპირტ-კონიაკის წარმოებას.

გამოკვლევის პირველი ამოცანა იყო მრეწველობის ძირითადი კაპიტალის მდგომარეობის შესწავლა, შეგროვილი ცნობები იძლევა ძირითად კაპიტალის მთავარი ელემენტების—მამოძრავებელი, საწარმოო მანქანების და ნაშენობათა სრულ დახასიათებას.

გამოკვლეულია მამოძრავებელ მანქანების ძალოვნება სხვადასხვა დარგების მიხედვით, მათი მუშაობის უნარიანობა, გაცვეთის დონე. მათი კონსტრუქცია და ღირებულება. შესწავლილი არის აგრეთვე საკითხი, თუ როგორია სათბობი მასალის ხარჯვა წარმოების ძირითადი ელემენტების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გამოკვლევა სწარმოებდა დაწვრილებით და დიდი დაკვირვებით, რადგან ძირითადი კაპიტალის აღდგენა საბჭოთა მშენებლობის მორიგ ამოცანად სდგას. გამოკვლევის მეორე მორიგი კითხვა იყო მრეწველობის პროდუქციის და მისი ელემენტების შესწავლა. დაგროვილია მასალები ჩვენი მრეწველობის და მისი ცალკე დარგების პროდუქციების, ნედლეული მასალის და სათბობის რაოდენობის გამოსარკვევად, რომელსაც საჭიროებს ა/კ. მრეწველობა. გამოკვლეულია აგრეთვე ნედლეული და სათბობი მასალის ხარჯვის ნორმები, მუშა ხელის და შრომის ხელფასის ნორმები ცალკე წარმოებათა მიხედვით. ამ მასალების შესწავლა გამოარკვევს საკითხს, თუ რამდენად არის შესაძლებელი დღევანდელ პირობებში შრომის ნაყოფიერების გადიდება.

დასასრულ გამოკვლეულ იქნა ა/კ. მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა. დაგროვილია მასალები მრეწველობის ცალკე დარგებში კაპიტალის შემადგენელ ნაწილების რაოდენობის შესახებ, სავაჭრო-საფინანსო ოპერაციების, მრეწველობის დავალიანების, საწარმოო გასავლის განაწილების, ბალანსების მდგომარეობის შესახებ და სხვა. შეგროვილი ცნობები საშუალებას იძლევა გამორკვეულ იქნეს ა/კ. ყველა კაპიტალების რაოდენობა, შედგენილ იქნეს სამრეწველო კაპიტალების ერთიანი ბალანსი მთელ ამ/კავკასიისათვის.

გარდა ზემოხსენებულ დარგებისა, გამოკვლევა შეეხო წარმოებათა ორგანიზაციულ, ტეხნიკურ და სამეურნეო მხარეებს, რომელთა შესახებ დაგროვილი ცნობები გამოარკვევს სამრეწველო მშენებლობის სპეციალურ საკითხებს.

მიღებული მასალების დამუშავებას ა/კ სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო შეუდგა მიმდინარე წლის სექტემბრიდან.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები ამიერ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთ დაუკვეთა ნახევარ მილიონ მანეთის ტრაქტორები.—გერმანიიდან გამოწერილია გუთნები.—ჩეხო-სლოვაკიიდან—ცელები და სხვა იარაღები.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

რომ მომავალ წლისათვის ამიერ-კავკასია თავის დროზე იქნას მომარაგებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, კომისარიატი უკვე შეუდგა შესაფერ ზომების მიღებას.

ყველაზე მეტი ღირებულების მანქანები დაკვეთილია ამერიკაში, სადაც დაკვეთისამებრ შეძენილი იქნება ნახევარი მილიონი მანეთის ტრაქტორები. მათ შორის 150 ცალი „ფორძონის" ყაიდის ტრაქტორია, 20 ცალი—„ხოლტის" და 10—„კეისის". ამას გარდა გამოსაცდელად გამოწერილია „კლირაკის" ყაიდის პატარა ტრაქტორები ბარსა და მთაგორიან ადგილებში სახმარად.

გერმანიაში დაკვეთილია 300 ცალი ფარცხი. გლეხის მეურნეობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფიწალსა და ცელს, ამიტომ კომისარიატმა გადასწყვიტა დაჩქარებით შეიძინოს 100 ათასი ცალი ფიწალი და 100 ათასი ცალი ცელი.

ამას გარდა ჩეხო-სლოვაკიაში დაკვეთილია 100 ათასი ცალი ფარცხი.

თუ კომისარიატმა შესძლო აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების თავის დროზე მიღება და თავის დროზევე გლეხობისათვის მათი მიწოდება, ჩვენ ამით დიდათ დავეხმარებით გლეხობას, რომელიც გაჭირვებას განიცდის სამეურნეო იარაღების ნაკლებობის გამო და წინ წასწევს სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს.

მესაქონლეობა ჩვენში

პერსპექტიული გეგმის თანახმად, საქართველოში მოწყობილი იქნება საციებლები, მესაქონლეობის პროდუქტების საწყობები და ზოოტეხნიური სადგურები

საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკაში მესაქონლეობას ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა შორის. აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით განვითარებულია მეცხვარეობა, მეკამეჩეობა და მეძროხეობა; დასავლეთ-საქართველოში—მეღორეობა, მეძროხეობა და მეფრინველეობა; აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში—მეძროხეობა და მეღორეობა; აჭარისტანში—მეძროხეობა.

ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში, რომელიც დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, აღნიშნულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც საჭიროა მესაქონლეობის განსავითარებლად. ამ გეგმაში ჩამოთვლილია ზომები, რომლებიც აუცილებელია მესაქონლეობის პროდუქტების გასაღების უზრუნველსაყოფად, საზითლო დახმარების მოსაწყობად, საქონლის საკვების გაუმჯობესებლად, საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად და სხვა. მაგრამ მათ შორის მთავარია—საძოვრების საკითხების მოგვარება.

განზრახულია საციებლების მოწყობა, რისთვისაც დასჭირდება 423.720 მანეთი. მოწყობილი იქნება ერთი ცენტრალური საციებელი ბათომში ანდა ფოთში, სამი დამხმარე საციებელი დასავლეთ საქართველოში და ორი აღმოსავლეთ საქართველოში.

საწყობების მოწყობას დასჭირდება 120.000 მანეთი. საწყობების ექსპლოატაციიდან ყოველწლიურათ მიღებული იქნება 41.500 მანეთი.

რძის, კვერცხების, ხორცის, მატყლის, კარაქის, ყველის და სხვა პროდუქტების ბირჟების მოწყობაზე დაიხარჯება 4.340 მან. ამ ბირჟების წლიური შემოსავალი იქნება 6.200 მანეთი.

გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სხვადასხვა ტიპების ზოოტეხნიურ საცდელ დაწესებულებების და ზოოტეხნიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მოწყობას, რასაც დასჭირდება 170.000 მანეთი.

განზრახულია საძოვრების ხელახლა განაწილება, რაზედაც ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 225.000 მანეთი.

სულ კი მესაქონლეობის განვითარებისათვის საჭირო იქნება 14.476.038 მანეთი.

ამხ. სერებროვსკი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს უფროსი ამხ. სერებროვსკი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

— აზერბეიჯანის ნავთის სამმართველო ბრწყინვალეთ ამთავრებს ეხლანდელ სამეურნეო წელს. ნავთის ამოღების პროგრამა შესრულებულია 100 პროც.-ით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასევე სრულიად შევასრულებთ მომავალი წლის პროგრამასაც (339 მილიონი ფუთი).

ქების გათხრის პროგრამა ჩვენ მიერ შესრულებულია 118 პროც.-ით, მომავალ წელში განზრახული გვაქვს გავთხაროთ 72.000 საჟენი მიწა.

შემდეგ ამხ. სერებროვსკიმ აღნიშნა აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს მიმდინარე წლის ისეთი მიღწევები, როგორიც არის ნავთის ამოღების მექანიზაცია, „კრეკინგ-პროცესის" შემოღება (ბენზინის გადასაქაჩავათ), მუშების კვალიფიკაციის გადიდება და სხვა.

ამხ. სერებროვსკის სიტყვებით, თუ მიმდინარე წელში აზერბეიჯანის ნავთის სამმართველომ შესძლო მუშების საშუალო ხელფასის გადიდება 44 მანეთიდან 57 მან. 50 კაპ., მომავალ წელში ის გადიდებული იქნება 68 მანეთამდე.

თუ მიმდინარე წელში მუშათა სახლების, ბოსტნების და ბაღების მოწყობაზე დახარჯული იყო 4.500.000 მანეთი, მომავალ წელში ამავე მიზნისთვის გადადებული იქნება კიდევ უფრო მეტი.

ნათესების მდგომარეობა ა-კავკასიაში
15 სექტემბრისათვის

(ა/კ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მასალებიდან).

აგვისტოდან ამინდი ხელსაყრელი არ არის ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის.

აგვისტოს პირველ ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოში ამინდი ნათელი, მშრალი და ცხელი იყო, წვიმები იშვიათად მოდიოდა, აზერბეიჯანში და სომხეთში ცხელი დარები იდგა, დასავლეთ საქართველოში კი ხშირი იყო ღრუბლიანი დღეები; აგვისტოს მეორე ნახევარში გვალვა გრძელდებოდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე აზერბეიჯანში და სომხეთში, დასავლეთ საქართველოში კი ღრუბლიანი დღეები შეიცვალა თბილი ამინდით.

სექტემბრის პირველ ნახევარში ჩვენ ცხელ ამინდს ვამჩნევთ ყველგან, დასავლეთ საქართველოშიც.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში—პირველიდან 15 სექტემბრამდე—წვიმები იშვიათად მოდიოდა, ზოგიერთ ადგილებში კი—აღმოსავლეთ საქართველოში და სომხეთში მხოლოდ ერთხელ მოვიდა წვიმა.

ნორმალური ნალექის 50 პროცენტი მოვიდა მხოლოდ მუღანლოში (პეტროპავლოვსკის რაიონი), თბილისის და სიღნაღის მაზრებში კი ნალექი სულ არ ყოფილა.

ცუდმა ამინდმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, კერძოთ კი ვენახებზე, რომელთა მდგომარეობის გაუარესება დაიწყო 15 აგვისტოდან.

ნათესების მდგომარეობა 15 სექტემბრისათვის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სიმინდი—3,2, თამბაქო—3,8, ბამბა—3,6, ხილის ბაღები—3,0 და ვენახები—2,8.

1-ლ სექტემბერთან შედარებით ვენახების მდგომარეობა გაუარესდა 3,4 პროცენტით, გაუმჯობესება ემჩნევა: სიმინდს—3,2 პროცენტით და ბამბას—2,9 პროცენტით.

სიმინდის ნათესების მდგომარეობის გაუმჯობესება აიხსნება იმით, რომ სიმინდი უკვე მწიფდება და მასზე გავლენას ველარ ახდენს გვალვა. რაც შეეხება ვენახებს, უნდა ითქვას, რომ მშრალი და ცხელი ამინდი, აუმჯობესებს რა მის ღირსებას, ამცირებს ღვინის მოსალოდნელ მოსავალს.

1924 წლის 15 სექტემბერთან შედარებით შესამჩნევათ გაუმჯობესდა ბამბის (16,1 პროცენტით) და სიმინდის (14,3) მდგომარეობა და საგრძნობლათ გაუარესდა ვენახების მდგომარეობა (20,0 პროცენტით).

საქართველოში სიმინდის ნათესების მდგომარეობა გაუარესდა დუშეთის (2,5 ნიშანი 3,0 წინააღმდეგ) და ლეჩხუმის (2,7 ნიშანი 3,1 წინააღმდეგ) მაზრებში; გაუმჯობესება ეტყობათ ზუგდიდის, ქუთაისის და რაჭის მაზრებს.

ბაღების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში საერთოდ უცვლელია: აზერბეიჯანში—3,0, სომხეთში—2,8 და საქართველოში—2,7. ბაღების მდგომარეობის უმნიშვნელო გაუმჯობესება აღნიშნულია ქუთაისის მაზრაში.

ვენახების მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ამიერ-კავკასია—2,8, აზერბეიჯანი—2,6, სომხეთი—2,2 და საქართველო—3,1.

ბამბა აზერბეიჯანში—2,7, სომხეთში—3,2, საქართველოში—3,4, ამიერ-კავკასიაში—3,6.

თამბაქო ამიერ-კავკასიაში—3,3, აზერბეიჯანში—3,8, სომხეთში—2,6 და საქართველოში—3,3.

1924 წლის 15 სექტემბერთან შედარებით სიმინდის, ბამბის და თამბაქოს ნათესების მდგომარეობა მიმდინარე წელში გაცილებით უკეთესია, ბაღების და ვენახების მდგომარეობა კი შესამჩნევათ გაუარესდა.

საქონლის მიწოდება სოფლისათვის

მიმდინარე წლის შემოდგომიდან საქართველოს სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციები იწყებენ სოფლებისათვის პირველი საჭიროების საქონლის მიწოდებას, რომელიც გაგრძელდება შემოდგომის და ზამთრის თვეების განმავლობაში. პირველ რიგში საქონლის მიწოდება იწარმოებს იმ რაიონების მცხოვრებთათვის, სადაც ზამთრის თვეებში შეუძლებელია მისვლა.

ჯერჯერობით საქონლის მიწოდების კამპანიის დაწყების შემდეგ მოსულია ცნობები შემდეგ ადგილებიდან.

დასავლეთ საქართველო

დასავლეთ საქართველოში—უმთავრესად ქუთაისის მაზრის მახლობლათ მდებარე კუთხეებისათვის. საქონლის მიწოდების კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით აწარმოებს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ქუთაისის განყოფილება, რომელსაც მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის სოფლებში გასაგზავნად დაურიგებია 148.389 მანეთის საქონელი. ამავე დაწესებულებიდან სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს მიუღიათ 9.091 მანეთის საქონელი, ხოლო კერძო ვაჭრებს 25.158 მანეთის საქონელი.

მანუფაქტურის მიწოდების გარდა, ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებას ქუთაისის მაზრის სოფლებისათვის დაუგზავნია—17.280 ფუთი მარილი, რაჭისათვის—1.484 ფუთი, ხოლო ლეჩხუმ-სვანეთისათვის—2 ათასი ფ. მარილი.

აჭარისტანის სოფლებისათვის.

აჭარისტანის კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა სოფლებში დასაგზავნად მიიღეს 1 ვაგონი შაქარი. ამავე კოოპერ. ორგანიზაციების საშუალებით აგვისტო-სექტემბერში სოფლებში გაგზავნილა: 7 ათასი ფუთი ფქვილი, 1.100 ფუთი შაქარი, 520 ფუთი ბრინჯი, 300 ათასი ცალი პაპიროსი, 13 ათასი მანეთის მანუფაქტურა, 96 ფუთი ასანთი, და 6 ათასი მანეთის წვრილმალი საქონელი.

ცაგერის ბაზრობა

გლეხობისათვის სხვადასხვა პირველი მოხმარების საგნების მიწოდების მიზნით ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომი წელს დაბა ცაგერში აწყობს ბაზრობას, რომელიც ლეჩხუმში არ გამართულა 1914 წლის შემდეგ. აღმასკომმა გამოჰყო საბაზრო კომიტეტი, რომელსაც დაევალა ბაზრობის მოწყობა. კომიტეტი აგებს დროებით სავაჭრო კარვებს დასდგამს ქალაქის სასწორს, ხოლო ჯოგის სადგომად გამოჰყოფს ცალკე მოედანს. ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები.

ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სვანეთის, ოსეთის, სამეგრელოს და ჩრდილოეთ კავკასიის მეჯოგეები.

ბაზრობა გაიხსნება 27 სექტემბერს.

ბრძოლა უმუშევრობასთან

საზოგადოებრივი სამუშაოები სოფლად

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო, რომ მომავალ საბიუჯეტო წლისათვის საზოგადოებრივი სამუშაოები ნაწილობრივად მოეწყოს აგრეთვე ა/კ. სოფლებში იმ მიზნით, რომ შეჩერებულ იქნეს სოფლებიდან ქალაქებში სოფლელი მუშა-ხელის დენა. წინასწარ შრომის სახ. კომ. განზრახვა აქვს მოახდინოს იმ რაიონების აღრიცხვა, საიდანაც უფრო მეტი ხელი მიეშურება ქალაქებისკენ. სოფლად საზოგადოებრივ სამუშაოების უფრო ფართე მასშტაბით წარმოებისათვის შრომის სახ. კომის. განზრახვა აქვს შეუთანხმდეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებთაც დასჭირდებათ საჭირო თანხების რაოდენობის ნაწილის გაღება.

შრომის სახ. კომის. დადგენილებით შრომის კოლექტივთა არსებული ქსელი გადასინჯული უნდა იქნეს. ამასთანავე მათ შორის ყველაზე უფრო მოქნილ [illegible] კოლექტივები [illegible] სამეურნეო ორგანიზაციად.

შრომის კოლექტივების პროდუქციის ღირსების ამაღლება.

შრომის სახალხო კომისარიატი საჭიროდ აღიარებს კოლექტივების პროდუქციის ღირსების ამაღლებას და მათგან დამზადებულ საქონლის თვითღირებულების შემცირებას. შრომის სახ. კ-ტი ფიქრობს აგრეთვე გამოუძებნოს შრომის კოლექტივებს საქონლის და ფულის კრედიტი. ხოლო იმ მიზნით, რომ შრომის კოლექტივებში ჩაბმულ იქნეს უმუშევართა მეტი რიცხვი, შრომ. სახ. კ-ტს განზრახვა აქვს აწარმოოს მუშაკთა პერიოდული და სისტემატიური შეცვლა.

1925—26 წლის ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის.

1925—26 საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებრივი სამუშაოებისა და უმუშევართა სხვა სახის დახმარებისათვის უდრის 1.200.000 მანეთს. შრომის სახ. კომისარიატის მიერ ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია.

ქრონიკა

ამხ. ლომინაძის ჩამოსვლა

ტფილისში ჩამოვიდა ახალგაზრდათა კომინტერნის გენერალური მდივანი ამხ. ბ. ლომინაძე.

ამხ. რუძუტაკის ჩამოსვლა

დღეს დილით თბილისში ჩამოვა საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარი ამხ. რუძუტაკი.

უცხოელ მეცნიერების გამგზავრება

უცხოელი პროფესორები შაპლონი და მოდდი ოთხშაბათს, 23 სექტემბერს გაემგზავრენ ბაქოში.

ინდოელი პროფესორი რომანი ხვალ მიემგზავრება ლენინგრადში, იქიდან კი გერმანიაში.

ქაღალდი ამ.-კავკასიისათვის

1925—26 წ. ა/კავკასიისათვის ქაღალდი შემოიტანება 635.000 ფ. ეს რაოდენობა ცალკე რესპუბლიკებზე ნაწილდება ამგვარათ: საქართველო—59 პროც., ანუ 375.000 ფუთი, აზერბეიჯანი—33 პროც., ანუ 210 ათასი ფუთი და სომხეთი—8 პროც., ანუ 50.000 ფუთი. საქონლის ცალკე ჯგუფების მიხედვით ქაღალდის უმთავრესი ნაწილი მოდის საგაზეთო ქაღალდზე—180.000 ფუთი, საწერ ქაღალდზე—12.000 ფუთი და საბეჭდავზე—82.000 ფუთი.

სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოში

— **ტყავის მრეწველობა.** სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ტყავის ქარხნებმა აგვისტოში დაამზადეს 3,198 ცალი მსხვილი და 2,231 წვრილი ტყავი.

— **ჭიათურის მაღაროებში** ამჟამად მუშაობს 1,268 მუშა.

— **ლუდის დამზადება.** უმაღ. სამ. საბჭოს ლუდის ქარხანამ აგვისტოში დაამზადა 36,288 მანეთის ლუდი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **მეფუტკრეობის შესწავლა.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილ მეფუტკრეობის კურსებზე წელს მეფუტკრეობის საქმე შეისწავლა 230 გლეხმა.

— **მხარეთმცოდნეობის ყრილობაზე,** რომელიც ახლო ხანში გაიმართება ბათომში, მიწათმოქ. სახ. კომისარიატი გზავნის სოფლის ნაწარმოების ნიმუშებს და აგრეთვე თავის წარმომადგენლებს.

ტფ. დაზღვევის სალაროში

— **დაზღვეულთა რიცხვი.** საქ. სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში ამჟამად ითვლება 56,259 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **პენსიონერები.** საქ. დამზღვევი სალაროები ამჟამად პენსიას აძლევენ 1,463 შრომით დასახიჩრებულს და 794 ქვრივ-ობოლს.

— **დაზღვეულთა დამხმარე** ქვეგანყოფილების ცნობით, ქალ. ამბულატორიები ძლიერ დატვირთული არიან მუშაობით.

— **დახმარება უმუშევრებს.** 26 სექტ. უმუშევართა დამზღვევი განყოფილება მისცემს სექტ. დახმარებას იმ უმუშევრებს, რომელთაც აქვთ წიგნაკი № 3,001-დან № 5,100-მდე.

სხვადასხვა

— **ზაზიამანის შეძენა.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დასდო ხელშეკრულება ა/კ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატთან 50,000 ფ. ზაზიამანის საზღვარგარეთ შესყიდვის შესახებ. ზაზიამანი განაწილებული იქნება საკრედიტო ამხანაგობებს შორის გლეხებისათვის მისაწოდებლათ.

— **თამბაქოს გატანა.** წარმოკავშირს განზრახული აქვს წლევანდელ მოსავლიდან საზღვარგარეთ გასასაღებლად დაამზადოს 10 ათასი ფ. თამბაქო.

— **ტალახით მკურნალობა.** ტფ. აღმასკომის დაზღვეულთა საექიმო ქვე-განყოფილების მიერ მოწყობილ ტალახით სამკურნალოში ამჟამად ყოველთვიურად წამლობს 250 კაცი.

— **კბილის ტეხნიკთა კურსები** ამ დღეებში გაიხსნება კბილის საექიმო კლინიკასთან.

— **რემედასის საქ. ცეკაში** 1-ლ აგვისტოდან 15 სექტემბრამდე შემოვიდა რემედასის განყოფილებებისა და სხვადასხვა დაწესებულებებისაგან 22,474 მან.

— **თამბაქოს მრეწველობა.** მიმდინარე წლის განმავლობაში თამბაქოს მრეწველობისათვის საჭიროა 39 ათასი ფუთი ნედლი თამბაქო.

— **საწოლების შეკეთება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუდგა ყველა საავადმყოფოებში საწოლების შეკეთებას.

შემთხვევები

— **თავის მოწამვლა.** 23 სექტ. კარაკლისის ქ. № 3 თავი მოიწამლა მოქ. ვლადიმერ ზლატოვსკიმ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქალის წაყვანა.** 23 სექტ. ანდრეევის ქ. მცხოვრებმა ანა კუთიას ასულმა ჩიჩიბაიამ მილიციაში განაცხადა, რომ მისი სახლში არ ყოფნის დროს მოქ. კონ. კოსტავამ გაქურდა მისი ბინა და თან წაიყვანა მასთან მყოფი 13 წლის ქალი ბაბალე ჯალაღანია.

— **შეპყრობა.** 23 სექტ. შეიპყრეს მოქ. მიკირტიჩ ოგანეზოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი სახაზინო ნივთები.

— **ყაზარმის საწყობიდან.** 23 სექტ. გაქურდეს მეექვსე ლეგიონის ყაზარმის საწყობი, საიდანაც წაიღეს სამხედრო ტანსაცმელები.

— **შეპყრობა.** 23 სექტ. ნავთლუღში შეიპყრეს ვინმე იაფინკა, რომელსაც ბრალდება კოსტა პილოტოვის ბინის გაქურდვა.

მუშათა ცხოვრება

კავშირო და ადგილკომო, ნუ გძინავთ!

სასტუმრო „ორიანტ"-ის მოიჯარადრემ, მუშების ცნობილმა ექსპლოატატორმა, ბატონმა აბაშიძემ სამი-ოთხი თვის წინად დაითხოვა ერთი ხელზედ მოსამსახურე. 2 სექტემბერში ორიც შვებულებაში ძლივს-ძლივობით გაუშვა და მათ ადგილზე ნაცვლათ სხვისი დროებითი მოყვანისა, ბატონი აბაშიძე ძალდატანებით ამუშავებს დარაჯ მუშებს ხელზე-მოსამსახურეების მაგივრად, რაც მათთვის მეტად მძიმეა, და მასთან ადგილი ეკარგებათ სამ უმუშევარს. ეს არანორმალური მოვლენა იცის კავშირმაც და მისმა ადგილკომმაც.

მაგრამ სამწუხაროდ, ამდენ ხანს არ მოისურვეს მუშური მუშტით დაემარცხებიათ ეს თავხედი ექსპლოატატორი აბაშიძე და უმუშევარი გაეგზავნა თავისუფალ სამუშაოზე.

კავშირო, ეხლა ძილის დრო არ არის, მიაქციე ამას ჯეროვანი ყურადღება.

ციცე-ნი.

რკინის ცოცხია საჭირო!

მშვენიერი სასადილოა რუსის ქუჩაზე დარაბა № 3-ში, მეოთხე სამილიციო უბანში. „წითელი ახალშენი" ჰქვიან მას. მოგებაც კარგი აქვს. სასადილოში მუშაობს ოთხი კაცი: სამი ინვალიდი და ერთი კერძო პირი. სასადილო ოთხი თვეა არსებობს და ამ ხნის განმავლობაში სამი შრომის უუნარმოკლებულ, უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ მონადე ინვალიდების შრომას სწორი და არა სწორი (ქურდობით) გზით ითვისებს მეოთხე კერძო პიროვნება ვინმე ალ. კაკაბაძე. ქურდობა, ხელუკუღმართობა ანადგურებს ხსენებულ სასადილოს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება საქართ. უზრუნველყოფ. სახკომატის მიერ, და ალაგმულ იქნას მადაგაღვიძებულ და აღვირახსნილ მოქ. ალ. კაკაბაძე.

მუშკორი ა. გ—ძე.

ადგილკომების რეორგანიზაციის გამო

ამჟამად განათლების მუშაკთა და სხვა კავშირებშიც მიდის ადგილკომების რეორგანიზაცია-დეცენტრალიზაცია, მუშათა მასასთან მათი დაახლოვების, უამრავ საქმეებისაგან განტვირთვის და მათი მუშაობის გაცხოველების მიზნით. განათლების მუშაკთა კავშირში ნაცვლად 17 ადგილკომისა განზრახულია დაარსდეს 80-მდე ადგილკომი. ყოველ დაწესებულებას, სადაც ირიცხება არა ნაკლებ 25 მუშა-მოსამსახურისა, აქვს უფლება ჰყავდეს თავისი ადგილკომი და სხ.

ეს ყველაფერი კარგი და მოსაწონია, მაგრამ აქ მარტო მექანიური, ფორმალური რეორგანიზაცია არ კმარა.

ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენი ფაბრ.-ქარხკომები, ადგილკომები და პროფრწმუნებულები ვერ სდგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე ისინი ჯეროვნად ვერ არიან მომზადებულნი პროფესიონალურად; მათ ან სულ არ იციან შრომის კანონები, ან და იციან ძალიან სუსტად, პრიმიტიულად, დამახინჯებულად; მათ არ შესწევთ პროფესიონალურ-რევოლიუციონური ობიექტივობა, სიმტკიცე-გამბედაობა, შრომის კანონების დაცვის დარგში; ხშირად ველარ იჩენენ მიუდგომლობას და მართლმსაჯულობას ან მუშა-მოსამსახურეთა, ან და ადმინისტრაციის მიმართ. ხშირად აჭარბებენ ზომებს, აზვიადებენ და ართულებენ სულ უბრალო საკითხებს. მათ მხრივ ხშირად აქვს ადგილი ყოვლად დაუშვებელ შეუწყნარებელ „ლაიქობა"-ს ან ადმინისტრაციის, ან და ამრჩევლების წინაშე. მათი მუშაობა იღებს „ჩინოვნიკურ", ფორმალისტურ, ბიუროკრატიულ სახეს მაშინ, როდესაც ისინი უნდა იყვნენ ნამდვილი ხელმძღვანელნი, ვექილნი, მეგობარნი, მოჭირნახულენი, მგრძნობიერნი, თავაზიანნი, მიუდგომელნი, გულშემატკივარნი და ლმობიერნიც მუშა-მოსამსახურეების მიმართ.

ყველა დეფექტები და სიმახინჯენი ჩვენი ფაბრ.-ქარხკომების და ადგილკომების მუშაობისა არის ნაყოფი, შემდეგი მათ პროფესიონალურად მოუმზადებლობის და უვიცობის, რაც ჰბადებს მათდამი უნდობლობას მუშა-მოსამსახურეებში; იწვევს მათში სამართლიან საყვედურს და უკმაყოფილებას ადგილკომების მიმართ, ეს კი ძალაუნებურად მათ თვალში სცემს თვით უმაღლეს პროფორგანოების პრესტიჟსაც.

ეს გარემოება გვავალებს დაუყოვნებლივ მივიღოთ ყოველივე ზომები ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების და წარმოება-დაწესებულებების ადგილკომების მუშაობის გადახალისება-გამოცოცხლებისათვის; უნდა მივსცეთ ჩვენ ადგილკომებს პროფესიონალურად მომზადებულნი, შრომის კანონთა ზედმიწევნით მცოდნე, მტკიცე ნებისყოფის და პატიოსანი ხელმძღვანელნი. ამისათვის საჭიროა გაიხსნას ადგილკომების პასუხისმგებელ მდივნების მოსამზადებელი კურსები ყოველ პროფკავშირთან ლექტორთა სათანადო შტატით. ჩვენი პროფკავშირები არ უნდა მოერიდონ ამ გვარ ხარჯებს, რადგან ასეთ მომზადებულ ადგილკომებს აქვთ და ექნებათ უდიდესი მნიშვნელობა, როგორც საერთოდ პროფმუშაობის, ისე საბჭოთა მშენებლობის და საბჭოთა შრომის კანონიერების განმტკიცებისათვის.

ლენინელი.

მუშკორების წერილებიდან

— **ადგილკომების რიცხვი გადიდდა, საქმიანობა კი შემცირდა.** 1924 წ. ტრამვაელებს ჰყავდათ ერთი ადგილკომი, რომელიც ჩინებულად მუშაობდა ყოველ დარგში. ეხლა გვყავს სამი ადგილკომი; მუშაობა კი სრულიად მინელდა, განსაკუთრებით კულტურულ დარგში. კულტკომისია არ გვაწვდის მუშებს ჟურნალ-გაზეთებს. იწერენ ყველაფერს და არ გვირიგებენ, ჰყრია არქივებში.

ადგილკომებო, გამოიღვიძეთ!

ტრამვაის მუშა მწ. არუთინოვი.

— **გაგვიხსენით კურსები.** ქალ. ფოთში არსებობდა საბუხჰალტრო კურსები, გახსნილი საბჭოთა მუშაკების კავშირის თაოსნობით. კურსებზე ჩაეწერა ასზე მეტი მსმენელი. ივლისში გამოცხადდა საზაფხულო დასვენება და მის შემდეგ კურსებზე მეცადინეობა არ განახლებულა და არც განახლდება, ვინაიდან კურსები დაკეტილია. აქ მეცადინეობდნენ მუშა-მოსამსახურეები.

გაგვიხსენით ეს კურსები!

ერთი მსმენელთაგანი.

— **რად ღუპავთ ამ საქონელს.** ტრამვაის ადგილკომს ჰქონდა დაკვეთილი და კიდეც მიიღო სხვადასხვაგვარი ტანსაცმელები ადგილობრივი მუშებისათვის. ზოგი ამ ტანსაცმელებიდან მუშებმა წაიღეს, ზოგი გარეშე პირებზე გაიყიდა და უმეტესი ნაწილი კი ტრამვაის საწყობში ჰყრია და ლპება.

ტრამვაის დირექციავ, რაშია საქმე?

მუშა ტრამვაელი.

— **ბავშვებს პატრონობა უნდა.** გრიბოედოვის ჩიხში, სახ. № 5-ში სცხოვრობს მოქ. რუხაძის ოჯახობა. ორივე ცოლ-ქმარი მსახურობენ. ბავშვები მთელი დღის განმავლობაში უპატრონოდ რჩებიან ქუჩაში; ბავშვები ძალიან ჭუჭყიანები არიან.

გამვლელი.

— **შეაკეთეთ, თორემ დაინგრევა.** რუსთაველის თეატრის შენობის მთავარი ფასადი (მეორე სართულზე გარედან) ნგრევის პროცესშია და თუ დროზე არ მიეშველეთ, შენობა გაგვიფუჭდება.

ამავე თეატ. სცენის მუშა.

— **ლოთობს და არ გვასვენებს.** გუნიბის ქ. სახ. № 48-ში სცხოვრობს ვინმე ლევან ხაჩატუროვი. ეს ვაჟბატონი ყოველ დღე ითვრება და ღვინით გალეშილი შეუვარდება აქ მყოფ მდგმურებს ბინებში გვლანძღავს, გვაგინებს მუშებს; მოსვენებას არ გვაძლევს.

ლასკინი.

წერილები სოფლიდან

ვინ გამოგზავნა ჯაფარიძეები?

ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომრებში მეტად გახშირდა წერილები მაზრებიდან სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედების შესახებ ადგილობრივ შემრჩევ კომისიების მუშაობაში, რომლებიც მიელინებას აძლევდენ ახალგაზრდებს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

ბოროტმოქმედების ყველაზე საყურადღებო ფაქტი მოყვანილი იყო სვანეთიდან. აქედან გამოგზავნილია სახელმწიფო ხარჯზე სწავლის მისაღებად 4 პირი, ერთი და იმავე ოჯახის წევრი.

ილამაზი, კალისტრატე, ტელევანგი და სონია ჯაფარიძეები. ერთი მათგანი, ტელევანგი, ქუთაისში გაიგზავნა. ჯაფარიძეები სვანეთში ცნობილია, როგორც შეძლებული ოჯახი. კერძოთ ამ 4 პირის მშობლებს აქვთ ორი საკუთარი სახლი. ერთი მათგანი ნაქირავები აქვს კოოპერატივს, მეორეში სცხოვრობს ქირით აღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე ამხ. ნაველიანი.

გარდა ამისა აღნიშნულ ჯაფარიძეებს მუდმივათ ჰყავთ სახლში ორი მოჯამაგირე. ეს ოჯახი მდიდარია აგრეთვე მსხვილი ოთხფეხით.

რამდენად დასაშვებია ასეთ ოჯახიდან სახელმწიფო ხარჯზე სტიპენდიანტის გამოგზავნა და ისიც ერთის ნაცვლად ოთხი პირის?

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ სვანეთი ღარიბია კულტურული ძალებით და სხვა კანდიდატები იქ არ მოიძებნებოდა. მაგრამ აი ფაქტი:

რედაქციაში შემოვიდა ძუძუ-მწოვარა ბავშვით ახალგაზრდა დედა, კომკავშირელი სვანი ქალი სოფიო დადვანი. ის ქვრივია. ქმარი, კომუნისტი 1917 წლიდან, მას მოუკლეს ყაჩაღებმა, რომლებთან შეტაკების დროსაც, თვით სოფიო დადვანიც იყო დაჭრილი.

და ასეთ ქალს გზავნიან ცაგერიდან ტფილისის მუშფაკში სტიპენდიის დაუნიშნავათ. სწავლით მოწყურებული ქალი სიხარულით გამოეშურა ტფილისისაკენ. მაგრამ აქ ის აუტანელ ნივთიერ მდგომარეობაშია. უკან დაბრუნების სალსარიც არ გააჩნია.

რას ფიქრობდა სვანეთის კომისია, როცა ასეთ პირობებში გზავნიდა ჩვილ ბავშვიან ქვრივ ქალს. ნუ თუ ისე აეფარა მას თვალზე ჩინი, რომ ჯაფარიძეები და დადვანი ველარ გაარჩია?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განათლების კომისარიატი უყურადღებოთ არ დასტოვებს ამ ფაქტს და დამნაშავეებს თავისას მიუზღავს.

ა. ზ—ლი.

რა უშლის ხელს შინამრეწველობის განვითარებას

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრაში უმთავრესად მისდევენ შემდეგ დარგებს შინამრეწველობაში: ა) აგურის, ბ) კრამიტის, გ) ყავრის, დ) ქურჭლეულობის, ე) ჩილოფების, ვ) კალათების, ზ) ჩოხების, თ) დარაიების, კ) აბრეშუმის, ლ) ბამბის—დამზადებას.

ამ დარგების განვითარებას გლეხობის შემოსავლიანობის ასაწევად და საერთო ეკონომიურ აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა აბრეშუმის მოყვანა ფართოდ გავრცელებულია თითქმის ყველა თემებში. მიმდინარე წელს აბრეშუმის მოსავალი გაიზარდა შარშანდელთან შედარებით 30 პროც. მაზრაში მეაბრეშუმეობას მისდევს თითქმის 15 ათასი მეურნე.

ასეთია ჩვენში შინამრეწველობის სურათი.

უნდა აღინიშნოს, რომ შინამრეწველები დღემდე შეუკავშირებელნი არიან. მათთვის არ არსებობს დამხმარე ორგანიზაცია. ისინი მუშაობენ გაბნეულად, გაფანტულად, უორგანიზაციოდ.

ეს კი ხელს უშლის შინამრეწველობის განვითარებას: შინამრეწველი ამზადებს საქონელს, მაგრამ მან არ იცის სად არის მისი ბაზარი, სად უკეთ გასაღდება ის, სად უფრო მეტია მოთხოვნილება.

ალალბედზე მუშაობა კი ხელს უშლის საქონლის გასაღებას ხელსაყრელ ფასებში და მისი მთლიანად გამოყენება შეუძლებელი ხდება.

საჭიროა გაერთიანება ერთ მთლიან სამაზრო კავშირში შინამრეწველობის ყველა დარგების, გარდა მეაბრეშუმეობისა, რომელსაც განსაკუთრებული შეკავშირება ესაჭიროება.

ეს კავშირი, ხელს შეუწყობს რა ამ დარგის განვითარებას, წინ წასწევს ჩვენი მაზრის მეურნეობას და გაადიდებს გლეხის ბიუჯეტს. საქმე მხოლოდ ამოქმედებაშია.

უჩა.

წერილებიდან

ერედვი (სამხ. ოსეთი)

დავიწყებული სოფელი. რევოლუცია ამ სოფელს დღემდე არ უგრძვნია, არავითარი კულტურული და სამეურნეო წინსვლა მას არ ეტყობა. არის მხოლოდ ერთგანყოფილებიანი სკოლა, რომელიც ძლივს ლაფავს სულს. იყო შემთხვევა, როცა აქაურმა გლეხმა საიდუმლოთ გადმომცა, რომ ნიკოლოზი ჩვენს მთავრობასთან შერიგებას აპირებსო. ცხინვალს მეტი ყურადღება მართებს ამ სოფლისადმი.

წალო ერედველი.

ცაგერი (ლეჩხუმი)

დაუსრულებელი მივლინება. აქაური მაზრაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ქურასპეტიანი შესახვედრად ენატრება ადგილობრივ მცხოვრებთ. ის თვეში ერთხელ თუ გამოჩნდება ახალ მთვარესავით, თორემ დანარჩენ დროს სულ მივლინებაში ატარებს. ან კი რა ენაღვლება დღიურები თვითეულ დღისათვის ეწერება. ამ უკანასკნელათ ის თვენახევარია ოსეთში დაიარება ცხენების შესაძენათ, რაზედაც პრეზიდიუმს დადგენილება არ გამოუტანია ცხენების შეძენის შესახებ. საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ აჩერებენ აქ ამდენი ხნით ქურასპეტიანს?

ლ—ი.

ს. წყნეთი (ტფ. მაზ.)

ქურდი ექსკურსანტები. ამას წინათ ჩვენს სოფელს ტფილისიდან ეწვია ცხრა ექსკურსანტი. მათ მოიპარეს დუქანში რამდენიმე გირვანქიანი ნაჭერი ხორცი. მედუქნე დაედევნა ქურდ-ექსკურსანტებს და ხორცთან ერთად მოიპარავნიც დაიჭირა. გლეხები სამართლიანად გაიძახოდენ: „მორს ასეთი ექსკურსანტები, ესენია, რომ ბაღებში ხილს არ გვიყენებენო". ადგილობრივი აღმასკომი არავითარ ზომებს არ ღებულობს ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ.

გლეხი შახყულაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **ყურძნის მოწევა.** თელავის მაზრაში, წინანდალში, ნაფარეულში და მუკუზანში—შეუდგენ ყურძნის მოკრეფას. მოსავალი კარგია. კოოპერატიული ორგანიზაციები შეუდგენ ღვინის დამზადებას. საჰალნე ღვინო 50—80 მან. ღირს.

— **ქუთაისის საცდელ მინდორზე** [illegible] ორ დესეტინაზე დაითესა ამერიკული სიმინდი, რომელზედაც მოსავალს მოელიან 200 ფ. დესეტინაზე. აღნიშნულ მინდორში მოწეული სიმინდი სათესლეთ დაურიგდება გლეხებს გაისისათვის.

— **სახალხო სახლი.** ამ დღეებში მოხდება სოფ. ნუკრიანის (სიღნაღის მაზ.) სახალხო სახლის საზეიმო გახსნა.

— **ქუთაისის მაზრაში** შინამრეწველობის დარგში მუშაობს 1340 მატყლის მქსოველი და 1450 აბრეშუმის მქსოველი.

— **სიმინდის მოსავალი რაჭაში.** ქვემო რაჭაში სიმინდის მოკრეფას უკვე შეუდგენ. სიმინდის მოსავალი საშუალოზე მეტია.

იურიდიული რჩევა-დარიგება

გვეკუთვნის თუ არა რაიმე წილი კომლის ქონებიდან

კითხვა

მე ვარ ქოლობნის თემის (სენაკის მაზრა) გლეხის ქალი. პირველი ჩემი ქმარი კონსტანტინე ზამთარაძე გარდაიცვალა და მის სიკვდილის შემდეგ დავრჩით მე—ქვრივი და მცირეწლოვანი ვაჟიშვილი. რადგანაც ჩვენი ოჯახი იყო უმუშახელო, ამიტომ 1921 წლის ბოლოს მივთხოვდი იმავე თემის გლეხი ბაგრატ ნიკურაძეს, რომლისაგან მეყოლა სამი შვილი და იმ დროიდან დღემდის ეს მეორე ქმარი სცხოვრობს ჩემთან ამ ოჯახში და ვეწევით მეურნეობას.

ამნაირად ეხლა ჩემი კომლი ექვსი სულისაგან შესდგება.

გთხოვთ რჩევა-განმარტებას: 1) ხენიშნული ქონება საერთოა, თუ არა მთელი კომლის ექვსივე წევრისა, თუ მარტო პირველი ქმრისაგან დარჩენილ ჩემი უფროს შვილს ეკუთვნის იგი და 2) მე, როგორც გარდაცვალებული კონსტ. ზამთარაძის ყოფ. ქვრივს მეკუთვნის თუ არა ჩემი ყოფილი მეუღლის ქონებიდან რაიმე წილი?

აგრაფინა ნიკურაძისა.

პასუხი

თანახმად მიწ. კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნა პირველის, ჩასიძებულს აქვს იგივე უფლება კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, როგორც კომლის ძირითად წევრს და სხვა ოჯახში მიწის სარგებლობის უფლება მას ეკარგება. კომლის წევრად ითვლებიან ყველა ოჯახში მყოფი წევრები, რომლებიც ერთად სცხოვრობენ და ეწევიან მეურნეობას საოჯახო—შრომითი კავშირის სახით, მაშასადამე თქვენც სარგებლობთ ყველა უფლებებით სხვა წევრებთან თანაბრად.

(იხ. მიწ. კოდ. მუხ. 39—40).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

„რემედასის" მე-3 სარაიონო საბჭო იუწყება, რომ შაბათს, 26 სექტემბერს, სრულ 5 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბში გაიმართება „რემედასის" 1 სარაიონო კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობ ის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ვართაპეტიანი.
2. „რემედასის" თბილისის კომიტეტის ანგარიში—მომხსენებელი ამხ. მარგანიძე.
3. „რემედასის" სარაიონო საბჭოს ანგარიში და მომავალი მუშაობის გეგმის [illegible]ქიცება—მომხსენებელი ამხ. არაზოვი.
4. [illegible]რაიონო საბჭოს არჩევნები.
5. სარევიზიო კომისიის არჩევნები.
6. მიმდინარე საქმეები.

ყველა დელეგატების დასწრება კონფერენციაზე სავალდებულოა.

სარაიონო საბჭო.

[illegible], 25 სექტემბერს, დღის 1 საათზე თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში გაიმართება

საბინაო კომისიის სხდომა

კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს 27 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში გაიმართება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

მდივანი—მელაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი აუწყ[illegible] [illegible]რტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელთაც არ გაუვლიათ [illegible]იტიკური შემოწმება, რომ დამატებითი პოლიტშემოწმება დანიშნულია პარასკევს, 25 სექტემბერს საღამოს 5—8 საათამდე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 96).

წინადადება ეძლევა შეუმოწმებლად დარჩენილ ყველა კანდიდატებს გამოცხადდენ დაუგვიანებლად დამატებით შემოწმებაზე.

საავიტ.-საპროპაგ. განყოფილების გამგე—მდივანი.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი აუწყებს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც ირიცხებიან „ზაკავტოპრომტორგ"-ის და „ცენტროტრამოტ"-ის უჯრედებში, რომ პარასკევს 25 სექტემბერს, ავტო-კლუბში (პლეხ. პროსპ. № 125) დანიშნულია ზემოდ აღნიშნულ უჯრედების გაერთიანებული სხდომა.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. საინფორმაციო მოხსენება უჯრედების შეერთების შესახებ, 2. უჯრ. № 11 და 19 მდივანთა ანგარიშები, 3. უჯრედთა გაერთიანებულ ბიუროს არჩევნები, 4. მიმდინარე საქმეები.

რაიკომის მდივანი—მელაძე.

საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს, დღეს 25 სექტემბერს, დღის 3 საათამდე, გამოცხადდენ საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში უკანასკნელის გამოძახებით:

1. თალაკვაძე სოფიო—სახ. კომისართა საბჭო, 2. კაპანაძე იოსებ და ტიურენკოვი—ლიტოგრაფია, 4. გოგოშიძე—თვითმშრომ. კავშირი, 3. ტაკუევი—იუსტიციის სახ. კომისარიატი, 6. ჩიჩელაშვილი—„მიასოტორგი", 7. კოლიაევი—„რეზინოტრესტი", 8. ჩხუბიანი ალექსანდრე—„ვსეკობანკი".

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—სტ. აკოპოვი.

[illegible] კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სთხოვს შემ[illegible] [illegible]ანაგებს, რომელნიც მიღებულნი არიან საბჭოთა პარტიულ სკოლა[illegible] [illegible]ადდენ საალრიცხვო-განმანაწილებელ ქვეგანყოფილებაში საგზაო [illegible] მისაღებათ.

1. ივანიძე მელიქსეტ, 2. სალამოვა სოფიო, 3. სიხოშვილი იაკობ, 4. უმაკოვი პეტრე, 5. კუმიევი ალექსი, 6. ქურიძე ალექსანდრე, 7. მხეიძე ვერა, 8. აბულაძე ილია.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—სტ. აკოპოვი.

საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-3 რაიონის პარტიულ კლუბის შენობაში გაიმართება მე-3 რაიონის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის თათბირი.

დღის წესრიგში: ამხ. პაპავას საინსტრუქციო მოხსენება. სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

[illegible]აქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის მუშა და [illegible]თა განყოფილება იუწყება, რომ შაბათს 26 სექტემბერს საღამოს [illegible]ათზე, მე-3 რაიონის პარტკლუბის შენობაში გაიმართება ქალთა შორის [illegible]მუშავე საუჯრედო კომისიების თათბირი ქალთა და ქალწულ თაორგა[illegible]ზატორების დასწრებით.

დღის წესრიგი:

1. საინსტრუქციო მოხსენება მუშა, გლეხ-ქალთა და აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა შორის მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ.
2. ქალთა შორის მომუშავეთა გადასამზადებელი წრის მოწყობა.
3. დელეგატ-ქალების ხელახალი არჩევნები.
4. მიმდინარე საქმეები.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი ქ. ცაგერის ცხრაწლედის მასწავლებლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ქ. ტფილისში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 23 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის და მთელი ლეჩხუმის მაზრის ახალგაზრდობისათვის თავდადებული პედაგოგი

გიორგი ილარიონის ძე

ახვლედიანი

გასვენება ტფილისიდან პარასკევს, 25 სექტ. ცაგერში.

ნის. 1760 (ა) —1—1

ღრმად დამწუხრებული ტარასი გრიგოლის-ძე და გიორგი ვალერიანის-ძე ახვლედიანები აუწყებენ თავის ნაცნობთ და ნათესავთ პირველის ბიძაშვილის და მეორის დეიდაშვილის, ცაგერის ცხრაწლედის მასწავლებლის

გიორგი ილარიონის-ძე

ახვლედიანის

მოულოდნელ და უდროვოდ დაკარგვას, გასვენება მოხდება 25 ენკენისთვეს, დილით, პარასკევს, ნაშუადღევს 3-ნახ. საათზე გერმანელების საავადმყოფოდან სადგურზე ქ. ქუთაისს და შემდეგ ქ. ცაგერში.

1—1

საქართველოს მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შრომით

და მონაწილეობით შევუდექით

ქართული

ენციკლოპედიური ლექსიკონის

გამოცემას, შემდეგი განყოფილებებით:

1. **ფიზიკო-მათემატიკა:** მატემატიკა, მექანიკა, ასტრონომია, გეოდეზია, ფიზიკა, გეოფიზიკა,—რედაქტორები: **პროფ. ა. რაზმაძე, და რ. ხუციშვილი.**

2. **ქიმია თეორიული და გამოყენებითი:** არაორგანიული, ორგანიული, ფიზიკური, ანალიტიური, ფიზიოლოგიური, აგრონომიული, ელექტროქიმია, ქიმიური ტეხნოლოგია, ფარმაცევტიული ქიმია, რედაქტორები: **პროფ. პ. მელიქიშვილი და პროფ. ი. ქუთათელაძე.**

3. **ბუნებისმეტყველება ა):** კრისტალოგრაფია, მინერალოგია, პეტროგრაფია, გეოლოგია, პალეონტოლოგია, გეოგრაფია. რედაქტორები **პროფ. ალ. თვალჭრელიძე და დოც. ალ. ჯანელიძე.**

4. **ბუნებისმეტყველება ბ):** ანატომია, ემბრიოლოგია, ფიზიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, გენეტიკა, ანტროპოლოგია, ეთნოგრაფია. **რედაქტორი: პროფ. ალ. ნათიშვილი.**

5. **აგრონომია:** ნიადაგთმეცნიერება, მიწათმოქმედება, სასოფლო მანქანა-იარაღები, ზოგადი და კერძო ზოოტეხნიკა, ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, ტროპიულ მცენარეთა კულტურა, მეტყეობა, ვეტერინარია. **რედაქტორები: დოც. კ. ამირეჯიბი და დოც. ნ. იოსელიანი.**

6. **სამკურნალო მეცნიერება:** მედიცინის ისტორია, საზოგადო პათოლოგია, პათოლოგიური ანატომია, მიკრობიოლოგია და ბაქტერიოლოგია, პარაზიტოლოგია, დიაგნოსტიკა, შინაგანი სნეულებანი, ეპიდემიური სნეულებანი, ტროპიკული სნეულებანი და მალარია, ბავშვთა სნეულებანი, ნევროპათოლოგია, ფსიქიატრია, მეანობა და გინეკოლოგია, დერმატოლოგია და სოციალური ავადმყოფობანი, რენტგენოლოგია და რენტგენოთერაპია, ბალნეოლოგია და ჰიდროთერაპია, ოდონტოლოგია, ოფთალმოლოგია და ლარინგოლოგია.—**რედაქტორი: პროფ. სვ. ამირეჯიბი.**

7. **ფილოსოფია:** ლოგიკა, ფსიქოლოგია-ექსპერიმენტული და ზოგადი შემეცნების თეორია, ფილოსოფიის ისტორია, ეთიკა, პედაგოგიკა, რელიგია.—რედაქტორები: პროფ. **შ. ნუცუბიძე** და პროფ. **დ. უზნაძე.**

8. **ენათმეცნიერება:** ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერება, დიალექტოლოგია, სინტაქსი, ინდოევროპიული ენათმეცნიერება, სემური ენათმეცნიერება და სხვ.—რედაქტორი: პროფ. **გ. ახვლედიანი.**

9. **ქართული ენათმეცნიერება:** ქართული ენის ისტორია და დიალექტოლოგია, ქართული ფონეტიკა, მორფოლოგია, ქართული სინტაქსი, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები, აფხაზური ენები (აფხაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩერქეზული), ჩაჩნური ენა, დაღესტნის ენები (ლეკური, დიდოური, ანდოური, კუმუხურ-ლაკური, კიურულ-ლეკური, არჩული, ტაბასარანული და სხ.) რედაქტორი: პროფ. **აკ. შანიძე.**

10. **ისტორია:** ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია, დამხმარე საისტორიო მეცნიერებანი (არქეოლოგია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ქრონოლოგია), ძველი და საშუალო საუკუნეების აღმოსავლეთის ისტორია, ევროპის და ამერიკის ისტორია, **საქართველოს ისტორია და ეთნოლოგია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, კავკასიის ისტორია, სომხეთის** ისტორია. რედაქტორი: პროფ. **ივ. ჯავახიშვილი.**

11. **ხელოვნება ა):** ესთეტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, მუსიკა, თეატრი, სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია,—რედაქტორი: პროფ. **გ. ჩუბინაშვილი.**

ბ): მხატვრული მწერლობა: ანტიური მწერლობა, ძველი აღმოსავლეთის მწერლობა, თანამედროვე ქვეყნების მწერლობა, ქართული მწერლობა და მისი ისტორია. ქართული კრიტიკა. ქართული პრესა.—რედაქტორები: პროფ. **გრ. წერეთელი და პროფ. კორნელი კეკელიძე.**

12. **სწავლა-განათლება:** პირველ-დაწყებითი სწავლა, დაბალი, საშუალო, უმაღლესი განათლება, და სასწავლო-სამეცნიერო, დაწესებულებები. სწავლა-განათლების ისტორია სხვადასხვა ქვეყნებში.—რედაქტორი: პროფ. **დ. უზნაძე.**

13. **ეკონომიურ-ფინანსიური მეცნიერებანი:** პოლიტიკური ეკონომია და პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, სტატისტიკა, საფინანსო მეცნიერება, ბიუჯეტი, კრედიტი, ბანკები, ფული და ფულის პრობლემები.—რედაქტორები: პროფ. **ფ. გოგიჩაიშვილი და დ. თოფურიძე.**

14. **სახალხო მეურნეობა:** მრეწველობა, სასოფლო მეურნეობის ეკონომიკა, აგრარული საკითხი, შინამრეწველობა, ვაჭრობა, კოოპერაცია, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონომიური მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნებში.—რედაქტორები: **დ. თოფურიძე, ბ. თევზაია, ერ. წიწვიძე.**

15. **იურიდიული მეცნიერებანი:** სამართლის მეცნიერების თეორია, სახელმწიფო სამართალი და სახელმწიფოებრივი წყობილება სხვადასხვა ქვეყნებში. ადმინისტრატიული სამართალი. სამოქალაქო და სავაჭრო სამართალი, სისხლის სამართალი. საერთაშორისო სამართალი. ქართული სამართლის ისტორია.—რედაქტორები: დოც. **ლ. ანდრონიკაშვილი, ირ. ტატიშვილი და პ. საყვარელიძე.**

16. **სოციალიზმი და სოციალური მოძრაობა:** სოციალიზმის მიმართულებები, უტოპიური და მეცნიერული სოციალიზმი, სოციალისტური მოძღვრებები, მარქსიზმი, სოციალური მოძრაობა, კლასთა ბრძოლა, მუშათა საკითხი, პროფსიონალური კავშირები, გლეხთა საკითხი, ქალთა მოძრაობა. საზოგადოებრივი აზრის ისტორია საქართველოში.—რედაქტორი: **ს. დევდარიანი.**

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო სამეცნიერო ძალები და ლიტერატორები. თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის და უცხოეთის მეცნიერები. ლექსიკონი **გამოვა 20 წიგნათ,** 4 წლის განმავლობაში. წიგნი იქნება დიდი ფორმატისა და 300 გვერდიანი. ლექსიკონს დართული ექნება მრავალი ფერადებიანი სურათები, ტაბულები და რუკები.

მთელი ლექსიკონი ეღირება **72 მან.** წინასწარი ხელისმოწერა სწარმოებს შემდეგი პირობებით: ხელისმომწერლებმა ყოველთვიურად უნდა **იხადონ 1—50 კ.** დაწყებული 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წლ.; გამოსვლის შემდეგ წიგნი **ეღირება 140 მან.**

ხელის მოწერა მიიღება შემდეგ ადგილებში:

მთავარი კანტორა, თბილისი. რუსთაველის პრ. № 12, საექსპედიციო კანტორა. ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს ფოსტით ფული.

გარდა ამისა მიიღება ხელისმოწერა შემდეგ ადგილებში: 1) ტფილისი, ოლღას ქუჩ. წიგნის მაღაზია „განათლება" **სილიბ. თავართქილაძე.** 2) თბილისი, სასახლის ქუჩა № 5 წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზია—**ვახო ედილაშვილი.**

საჭიროა ენციკლოპედიის გამავრცელებლები: ქუთაისში, ბათომში, ფოთში, სოხუმში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, შორაპანში, ქიათურაში, ხონში, სამტრედიაში, რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში, ყვირილაში, ოზურგეთში, ქობულეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალქალაქში, ახალციხეში, ნავთლუღში, ბაქოში და ყველა მთავარ პუნქტებში.

მსურველებმა უნდა მოგვმართონ მთავარ კანტორაში.

ყოველწლიურად გამოვა 5 წიგნი.

გამომცემლობა დარწმუნებულია, რომ **„ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი"** მეტად მნიშვნელოვანი საქმეა ქართველი საზოგადოებისათვის და ამიტომ ვიმედოვნებთ ყველა განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდება ამ გამოცემას და ხელს შეუწყობს მის წარმატებით დასრულებას.

გამომცემლობის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: დიომიდე თოფურიძე.

მოლარე: ნიკო ლომთათიძე.

ნ. 1762 2—1.

გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა-ექსპედიცია აცხადებს

ყველა

კონტრაგენტებისა და კიოსკების საყურადღებოდ,

რომ საანგარიშო წლის დასრულების გამო მათ ევალებათ გადმოგზავნონ **5 ოქტომბრამდე** ყველა დარჩენილი გაუყიდავი გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, რომელნიც აქვთ მათ მიღებული ჩვენგან ა/წ. სექტემბრის თვის დამლევამდის.

ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, არც ერთი ცალი გაზეთი და წიგნი არ იქნება მიღებული.

5—2

კანტორა.

ვინაიდან ლანირ-ჭაგნის მთლიანი კოოპერატივი საქმის გაუმჯ. გესოგის მიზნით უერთდება სამტრედიის მთლიანკოოპერატივს

ამის გამო დღიდან ერთი თვის განმავლობაში მოხდება მისი ლიკვიდაცია. საჭიროა ამხნის განმავლობაში ყველა კრედიტორებმა, თუ ასეთები არიან, შემოიტანონ განცხადებები მათ დასაკმაყოფილებლად. ერთი თვის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

ქვ. 2622 1—1

სალიკვიდაციო კომისია.

---

27 სექტემბერს ლეჩხუმის სამაზრო ცენტრში—ქალაქ **ცაგერში**

გაიხსნება დიდი

ბაზრობა

რომელიც გაგრძელდება ერთ თვეს.

7—5 ნ. 1725

ბაზრობის კომისია.

ტფილისის მე-2-ე საქციზო უბნის ინსპექტორი

ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 2 ოქტომბერს დანიშნულია ორი

საჯარო ვაჭრობა

პირველი—დილის 10 საათზე კახელ-მევენახეთა ამხანაგობა „საერო"-ს ღვინის სარდაფში, პუშკინის ქ. № 2, მათ საწყობში დაკავებულ 7.000 ვედრო ღვინის გასასყიდათ და მეორე—ამავე დღეს დღის 12 საათზე, იაგორ იაგორაშვილის ღვინის სარდაფში გრაფის ქ. № 12, დაკავებულ 120 ვედრო ღვინის და 19 ცარიელი კასრის გასასყიდათ.

ნ. № 1760

3—1

ტფილისის კომუნალური ბანკი

აცხადებს, რომ კვირას, 27 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ბანკის საწყობში (სომხეთ. ბაზ. № 62)

გაიმართება საჯარო

ვაჭრობა

300 კილო

ლითოგრაფიული საღებავის გასასყიდათ

ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე, დილის 9 საათიდან 1 საათამდე, ტფილისის კომუნალურ ბანკში (პუშკინის ქ. № 8)

ტფილისის კომუნალური ბანკის გამგეობა

ნ. № 1758—2—1

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის

საკანცელარიო ნივთების და საწერ ქაღალდის განყოფილებამ

მომავალ სამოსწავლო სეზონისათვის **მიიღო** დიდძალი სხვადასხვაგვარი საკანცელარიო ნივთები საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთელ ფაბრიკა-ქარხნებიდან

წიგნები, რვეულები, საკუთარი ნაწარმოები ასაკინძავი მასალები

ბითუმად მყიდველებს—შეღავათი. საქონლის გაცემა სწარმოებს ყველაზე, როგორც საბითუმო საწყობიდან, ისე მაღაზიებიდან.

შეკვეთების მისაღებათ აგენტები გაიგზავნებიან პირველ მოთხოვნილებისამებრ

მთავარი კანტორა და საბითუმო საწყობი:

პლეხანოვის პროსპექტი № 37, ტელეფონი 20—64

მაღაზია № 1—თავისუფლების მოედანი № 7, ტელეფ. 14—95.

მაღაზია № 2—კ. მარქსის მოედანი № 3, ტელ. 3—00.

ხსაკინძავ მასალების ფაბრიკა:

პლეხანოვის პროსპ. № 50, ტელეფ. 7—48.

ნ. 1732 2—2.

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი [illegible]

საჩქაროთ საჭიროა

1. სახერხ ქარხნის ინსტრუქტორის თანამდებობაზე

გამოცდილი ინჟენერი-მექანიკი

ხე-ტყის ქარხნის გამართვის და ტყის დახერხვის ტეხნიკის სტაჟით.

2. გამოცდილი ტეხნიკი-მექანიკი

სახერხ ქარხნის გამგის თანამდებობაზე წნორში, ხე-ტყის ქარხნის და ხერხვის ტეხნიკის სტაჟით.

3. ტეხნიკი-მშენებელი

გზის მშენებლობის, ტყის საქმის და ხე-ტყის დამუშავების ტეხნიკის სტაჟით.

პირობების და ხელფასის რაოდენობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება სამსახურის დროს ამ/კავკ. რკინის გზათა სატყეო განყოფილებაში.

მისამართი: ყოფ. ქსენიას ქუჩა № 5 (მეორე სართული).

ნ. 1741 3—2

იმ მიზნით, რათა ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშაობა შეთანხმებული იქნას მგზავრების მიმოსვლის მოთხოვნილებებთან,

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველო

მიმართავს ყველა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს, სამაზრო და სათემო აღმასკომებს თხოვნით აცნობონ რკინისგზების სამმართველოს თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ სურთ მათ შეიცვალოს სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ნუსხა 1926 წლისათვის და აგრეთვე აღნიშნონ სხვა სასურველი ღონისძიებანი ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ყოველგვარი მასალები საჭიროა წარმოდგენილი იქნას 15 ოქტომბრისათვის ან უშუალოთ რკ. გზათა სამმართველოში ტფილისში, ან ადგილობრივ სადგურების უფროსების საშუალებით. გამოთქმული სურვილი შეძლებისდაგვარად მიღებული იქნება მხედველობაში სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ახალი ნუსხის შედგენის დროს.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო.

ნ. 1755 2—2.

ქ. ტფილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 30 სექტემბერს, 1925 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 12, ტემნი რიგი საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნადი „პროდუქტ"-ის მოძრავ ქონებას, საბაკალეო, საქონელს შეფასებულს 426 მანეთად, „ზაკკრედიტბიურო"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ტფილისის მე-3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 1 სექტემბერს, 1925 წ. თარიღით, № 1523 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქვ. 2616 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 28 სექტემბ. 1925 წ., საათის 12, ბაქოს ქ., № 8. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკოლოზ აირაპეტოვის ნახევ. უძრავ ქონებას, მდებარეს ბაქოს ქუჩა, № 8, ორსართულიან ქვიტკირის სახლს, რომლის ერთი ნახევარი ეკუთვნის პოლოს აკოფოვს, შეფასებულს ათას მან. დასაკმაყოფილებლად პოლოს აკოფოვისა 686 მან. 85 კ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ.

ქვ. 2615 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 26 სექტემბერს, 1925 წ., საათის 12, ატენის ქ., № 6. საჯარო ვაჭრობით გაყიდის სიროტკინის და ბაბანინის. 1) უძრავ ქონებას მეორე ვაჭრობით სამსართულიან სახლს და 2) პირველი ვაჭრობით მოძრავ შინაურ ავეჯეულობას, შეფასებულს, სახლს—1000 მ. და მოძრავს დასაკმაყოფილებლად ჯანსახკომისა და თამბაქოს ქარხნისა. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექსისა.

ქვ. 1759 1—1

დავკარგე დამხლევე კასის წიგნაკი № 4283 ესო გიორგის ძე ახალკაციშვილის სახელზე. ჩ. გ.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 436 ანდრონიკე გიორგის ძე თოფურიას სახელზე. ჩ. გ. 2621 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1799 და რეგისტრაციის წიგნაკი № 317 ნასყიდაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2621 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1209 ალექსანდრე ჯანაშიას სახელზე. ჩ. გ. 2621 1—1

დავკარგე საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი დავით მაიერის სახელზე. ჩ. გ. 2613 1—1

დავკარგე საბჭოთა და სავაჭ. მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი შალვა კაპანაძის სახელზე. ჩ. გ. 2614 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 75 მიხეილ გიორგის ძე დემურიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2618 1—1

დავკარგე დამხლევე სალაროს წიგნაკი № 89 ლუარსაბ გედევანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2617 1—1

დავკარგე სახელმწიფო საბუღალტრო კურსების მოწმობა № 50 გიგო კოკილაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2619 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გრიგოლ ბარბაქაძეს სახელზე ჩ. გ. 2620 1—1

დავკარგე სახლის წიგნაკი № 16 გაცემული ბორჯომის მილიციიდან ტოლმირიდის სახელზე. ჩ. გ. 2621 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2068 მიხეილ ფალავანდიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2612 1—1

დავკარგე დამხლევი სალაროს წიგნაკი № 44854 ივანე გ. ყიფიანის სახელზე. ჩ. გ. 2623 (ბ) 1—1

დავკარგე შვიდ წლედის კურსის დამთავრების მოწმობა № 82 და მეტრიკული მონაწერი № 952 ალექსანდრე ბირტაძის სახელზე. ჩ. გ. 2621 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 2086 ნიკოლოზ იოსების ძე ვალიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2623 (ა) 1—1

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 1151 გიორგი თედოს ძე თომაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2623 1—1

ტირაჟი—20.014

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამ. წულუკიძის ქ. № 4